ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

12 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„საზღაური“
ქართული დეტექტივი მე-3 ტომი
4 ლარი




ორშაბათი, 18 ნოემბერი, 2013 №273 (6274) ფასი: 30 თეთრი

# გიორგი მარგველაშვილი: „მე ყველას პრეზიდენტი ვიქნები!“

გვ.3

„როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ვაცხადებ, რომ ვიზრუნებ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით გარეშე საფრთხეების მოსაგერიებლად. ამავდროულად, ნებისმიერი საერთაშორისო თუ შიდა პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა ქვეყნის უცვლელი კურსია“.

## ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვს“

გვ.4

რა შემთხვევაში დაიშლება „ქართული ოცნება“

## შალვა ნათელაშვილი: „ერთი მე ვარ იაპონიის პრეზიდენტი და მეორე — მარგველაშვილია საქართველოს პრეზიდენტი“

გვ.5

## დემურ გიორგელიძე: „ნაციონალები „ქართული ოცნების“ მოგუდვას თავისუფლად შეძლებენ“

გვ.2

## ინგა გრიგოლია: „ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ“

გვ.7

## მირონ ფირცხელანი: „ხუდონჰესის უკან რუსები დგანან!“

გვ.5

## გიორგი თევზაძე: „ვეტერანთა უფლებები ისევ ირღვევა!“

გვ.6

ISSN 1987-9385

4 ბიძინა ივანიშვილი ჯეიმს აპატურაის შეხვდა

6 საგარეჯო— „ქართული ოცნების“ ცხელი წერტილი

4 ირინა იმერლიშვილი: „საქართველო ოფიციალურად გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა“

11 ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე პენსიონერი გახდა

# დემურ გიორხელიძე: „ნაციონალები „ქართული ოცნების“ მოგუდვას თავისუფლად შეძლებენ“

შორენა კოწოწაშვილი

**რა ვერ შეძლო ბიძინა ივანიშვილმა, აქვს თუ არა ნაცმოძრაობას შანსი, პოლიტიკურად მოგუდოს „ქართული ოცნება“ და რას ვერ შეძლებს ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის პოსტზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დამოუკიდებელ ანალიტიკოს დემურ გიორხელიძესთან.**

***— ბატონო დემურ, ფაქტია, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა. ფინანსთა მინისტრმა აღიარა, რომ შემოსავლებში 600-მილიონიანი გარღვევაა. რა შეგიძლიათ თქვათ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით?***

— მთავარი მაინც არის ის მდგომარეობა, რომელიც ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა. ეს მაინც განსხვავებული მდგომარეობაა, მართალია, ძალიან პრობლემური, იმიტომ, რომ სტაბილური არაფერია. პოლიტიკური სისტემა არ არის. პოლიტიკური სისტემის შემადგენელი საყრდენი სუბიექტები, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მქონე პარტიების სახით, სტრუქტურირებული არ არის. ყველაფერი კვლავ პერსონალურ ნებაზეა დამოკიდებული და ასეთი სახელმწიფო დღეგრძელი არ არის. შეუძლებელია მისი განვითარება, რადგან ინსტიტუტები არ ფუნქციონირებენ. ჩვენ კლასიკური სისტემური კრიზისის პირობებში ვართ. ასეთ პირობებში ეკონომიკა ვერ განვითარდება უბრალო მიზეზის გამო: მთავრობა ვერ დგამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც აუცილებელია კერძო სექტორის მასობრივად განვითარებისთვის. ტოტალური უმუშევრობის პირობებია, ათიათასობით ადამიანი სამუშაოს მოსურნეა და ამის გარემო პირობები არ არის. ეს არის ერთი ფონი. მეორეა ის განწყობა, რომელიც სერიოზულად დამაფიქრებელია, რადგან ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი, უბრალოდ, გაოგნებულია. ისინი ელოდნენ ერთს, მიიღეს მეორე. მათ ვერ გაიგეს, საბოლოო ჯამში, ცვლილებების არსი რა არის. თუკი ყველა, ვინც კი წინა ხელისუფლებასთან იყო ასოცირებული, თავს შესანიშნავად გრძნობს და ის თითო-ოროლა ადამიანი, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემული, ღამის წამებულის შარავანდედით შეიმოსნენ. ამ ყველაფერს კი ის მოაქვს, რომ ხელისუფლება სერიოზულ დარტყმებს იღებს ადამიანების გონებაში. მართალია, ეს დღეს გარეგნულად არ არის გამოხატული, მაგრამ ადამიანები უკვე ძალიან დაფიქრებულნი არიან რეალურ შედეგებზე. ყველაზე ცუდი მათ განწყობაში ის არის, რომ ფლუსტრაციები იწყება ანუ დიდი იმედგაცრუებები. შედეგებიც ამაზე მეტყველებს. პოლიტიკური სიტუაციის სირთულე და გაურკვევლობის ხარისხი, კიდევ უფრო მაღლა იწევს, რადგან ამას ნეგატიურ ფონად ეკონომიკაში მიუღწეველი შედეგები ამაგრებს.

***— რაზე მიანიშნებთ, პოლიტიკურ კრიზისამდე შეიძლება მივიდეთ?***

— პოლიტიკურ კრიზისამდე შეიძლება არ მივიდეთ, მაგრამ აქ იწყება სერიოზული პროცესი. ვფიქრობ, ეს პროცესი მძლავრად განვითარდება. ყველა ხვდება, რომ ასეთ ორპოლუსიან სისტემაში ქვეყნის დატოვება ადრე თუ გვიან მართლაც გამოიწვევს სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს, ანდა უფრო უარესს. ასეთ ფონზე რამდენიმე წელიწადში ძველი ხელისუფლების მობრუნება სრულიად რეალურია, თუ არაფერი შეიცვალა. ამდენად, პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალები სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამენ, ღრმად ვარ დარწმუნებული, ანდა საბოლოოდ უნდა ჩამოსცილდნენ პოლიტიკას, საბოლოოდ უნდა დაასვან ჯვარი საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობას და შეეგუონ იმას, რომ არიან ლუზერები პოლიტიკურ სივრცეში, ადამიანები, რომლებსაც არასდროს არანაირ ანგარიშს არ გაუწევს. პოლიტიკა ცოტა ამბიციური ხალხის სფეროა და ასეთ სავალალო პერსპექტივას, არა მგონია, შეეგუონ. თუ მოქმედი პარლამენტს გარეთ პოლიტიკური ლიდერები შეეგუებიან ამას, ამას არ შეეგუებიან საზოგადოებაში მომავალი პოლიტიკურად აქტიური ადამიანები. საუკეთესო ინდიკატორი ჩემი ნათქვამისა იქნება ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდი, როდესაც ეს ძალები აშკარად ფორმირებული იქნებიან. ამიტომ მე პოლიტიკურ კრიზისს ველი არა იმ გაგებით, რომ პოლიტიკური ოპოზიცია მოხუთავს ამ ხელისუფლებას. დიახ, თუ ისინი ერთი ერთზე დარჩნენ და სხვა ისეთი განეიტრალებული იქნება, ცხადია, აშკარაა, რომ ორგანიზებული ოპოზიცია სერიოზულად დაუპირისპირდება.

***— ამ შემთხვევაში ამ ოპოზიციად ნაციონალურ მოძრაობას განიხილავთ, რომელმაც შეიძლება კოალიციური ხელისუფლება მოგუდოს?***

— დიახ. შემიძლია დიდი პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ აშკარაა ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებული გუნდი, უბრალოდ, პოლიტიკურად გათელავს ამ გუნდს. ეს პერსპექტივა ყველაზე ცუდი პერსპექტივაა. მე გეუბნებით ყველზე ცუდ სცენარს, რომელიც აშკარად გამოკვეთილია, იმიტომ, რომ პოლიტიკურად არათანაბარზომადი პოლიტიკური ადამიანები არიან, პოლიტიკურად აბსოლუტურად სხვადასხვა კოორდინატთა სიბრტყეში მაფიქრალი ადამიანები არიან კოალიციაში. ერთნი, უკვე პოლიტიკაში გამობრძმედილნი და უდიდესი შეცდომების დაშვების შემდეგ მაინც შენარჩუნებულნი. ამდენად, მათ მშვენივრად იციან უკვე ყველა ნიუანსი; და მეორე — რომელსაც ჯერ პოლიტიკის არაფერი სცხია, რომელიც მხოლოდ ერთი კაცის ავტორიტეტზეა დამოკიდებული. მათი ქმედებები არ შეესაბამება პოლიტიკური ძალის მოქმედებებს. ისინი მენტალურადაც, თავიანთი ლექსიკითა და მოქმედებებით შორს არიან რეალური პოლიტიკური ძალის მოქმედებისაგან. ამიტომ, რჩება ერთი გადაუჭრელი, შემიძლია გითხრათ, ახლა დეტალებზე არ გეტყვით. ცხადია, პროცესი დაწყებულია და ეს პროცესი რამდენიმე თვეში რეალურ სახეს მიიღებს.

***— ანუ პოლიტიკური კრიზისი არ იქნება?***

— პოლიტიკური კრიზისი არ იქნება, მაგრამ, ვფიქრობ, ალტერნატივები აუცილებლად გაჩნდება. იმასაც გეტყვით, იმდენად მძლავრი იქნება შეტევა პოლიტიკურ ლიდერებზე, მათ შორის საზოგადოებიდან, რომ ყველა რეალურ პოლიტიკურ ძალას აუცილებლად მოუწევს მრგვალ მაგიდასთან დაჯდომა მედიისა და საზოგადოების ძალიან სერიოზული პრესის ქვეშ, რომ ისინი, საბოლოო ჯამში, შეთანხმდნენ პრინციპულ საკითხებზე: არის თუ არა ღირებული ყველა პოლიტიკური ძალისთვის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო; არის თუ არა მისი დემოკრატიული განვითარება ხელშეუხებელი, სამართლებრივი გზით განვითარება; არის თუ არა საბაზრო ეკონომიკა, როგორც ჩვენი ხალხის ნიჭისა და უნარის გამოვლენის საუკეთესო საშუალება, ხელშეუხებელი; არის თუ არა ქვეყნის, ჩვენი ხალხის კულტურა, ხალხის ნიჭის და უნარის განვითარება, ხელშეუხებელი; და არის თუ არა ჩვენი ორიენტირები ცივილიზებული სამყაროსკენ, ხელშეუხებელი. სხვა დანარჩენი, არის წმინდა ტექნიკური. ისინი უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ ისინი არ აყალბებენ არჩევნებს; რომ ისინი ემორჩილებიან საერთო თამაშის წესებს და აკონტროლებენ ერთმანეთს, რომ ეს თამაშის წესები არ იქნეს დარღვეული და, საბოლოო ჯამში, ისინი შეთანხმდებიან იმაზე, რომ როგორი საქართველოა საჭირო ჩვენი ხალხის განვითარებისთვის. დანარჩენი არის უკვე საკუთარი შეხედულებების ფარგლებში მოქმედება. ჩვენი ხალხი, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტს არჩევნებზე ხელისუფლების ბედს. საბოლოოდ, იქითკენ მივდივართ, რომ არჩევნები მხოლოდ კადრების როტაცია უნდა გახდეს საქართველოში და სხვა არაფერი. ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ. ამიტომ, ვფიქრობ, უახლოესი ერთი წელი ძალიან მნიშვნელოვანი სერიოზული პოლიტიკური აქტიურობებისა და პოლიტიკური ცვლილებების წელი იქნება.

***— პოლიტიკური დაძაბულობისაც?***

— არა, დაძაბულობას არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ იმას, რომ ახალი ძალების კონსოლიდირება, პარლამენტს გარე ძალებისა და სვლა იქითკენ, რომ ეს დიდი შეხვედრა შედგეს. ამისთვის საზოგადოებაც იქნება მომზადებული. მედია ისედაც მზადაა, საკუთარი რისხვა დაატეხოს ყველა იმას, ვინც, საბოლოო ჯამში, თამაშიდან გასვლას და რაღაც ოპორტუნისტული, რომ იტყვიან, პოლიტიკური მოღვაწეობების გაგრძელებას დააპირებს.

***— თქვენც ახსენეთ, თავისუფლად შეძლებს ნაცმოძრაობა „ოცნება“ მოგუდოსო. ეს იმ ფონზე, როცა ლიდერები ივანიშვილი და სააკაშვილი მაღალ თანამდებობებს განერიდნენ და, ასე ვთქვათ, აპოლიტიკურ ფიგურებად იქცნენ.***

— ეს ვერ არის კარგი. პოლიტიკური ფიგურები აპოლიტიკურ თანამდებობებზე არის კონტრპროდუქტიული. ამიტომ პოლიტიკურ თანამდებობებზე უნდა იყვნენ პოლიტიკური ფიგურები, ღრმა პროფესიული თვისებებით.

***— როგორ წარმოგიდგენიათ ნაციონალების შემდგომი პოლიტიკური სვლები, რა სახის გავლენას შეინარჩუნებენ და რა რესურსი აქვთ?***

— რა თქმა უნდა, თქმა იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ერთიანი მონოლითური გუნდი, ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, ძნელია. რა თქმა უნდა, არ ტოვებს. პარტიას აშკარა სისუსტეები გააჩნია. ეს სისუსტეები, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად წამოყოფს თავს. მთავარი, რასაც ისინი არ ითვალისწინებენ და არ ცვლიან თავიანთ მოქმედებებში, ისინი არ ცდილობენ, გახდნენ მიმზიდველები. ისინი კვლავ იქ არიან, საიდანაც მოვიდნენ. კვლავ იმ კოორდინატთა სისტემაში არიან და ამიტომ ხალხში ძალიან სერიოზულ ნეგატიურ განწყობებს ქმნიან. ეს პოლიტიკური ძალისთვის არასახარბიელოა. მეორეც, საბოლოო ჯამში, ნაციონალური მოძრაობა ვერ ჩამოყალიბდა — მიდის განახლებაზე თუ კვლავ რჩებიან ოდიოზური ფიგურები, რომლებიც მის პერსპექტივას, რა თქმა უნდა, პოლიტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად უპერსპექტივოს ხდიან.

***— დღეს ნაცმოძრაობა ისევ მიხეილ სააკაშვილის იმედადაა.***

— დღეს ყველაზე დიდი ძალა ნაცმოძრაობისთვის, რა თქმა უნდა, ისე სააკაშვილია. ის შემთხვევით არ ცდილობდა ბოლო დღემდე გამოეყენებინა ის რესურსი, რასაც მას პრეზიდენტობა აძლევდა. ამიტომ, მე ისევ გავიმეორებ ჩემს მოსაზრებას: სააკაშვილი არასად არ წავა. ის არ არის ის კაცი, რომელიც სადმე მიდის. თუ მის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მას ვერავინ აუკრძალავს პოლიტიკურ მოღვაწეობას. ის არ არის კაცი, რომელიც ეგუება რაიმე სიტუაციას. დანარჩენი დამოკიდებულია პოლიტიკურ ძალებზე. შეძლებენ თუ არა ისინი ბლოკირება გაუკეთონ ნაცმოძრაობას. ამას მხოლოდ პოლიტიკაში უკვე სუბიექტად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ძალები შეძლებენ. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ბლოკირება გაუკეთონ სააკაშვილს. ვფიქრობ, თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მე გეუბნებით, ნაციონალური მოძრაობის მოქმედების არეალი ძალიან შეიზღუდება. მათ შორის, მისი პოლიტიკური ლიდერის.

***— ბატონო დემურ, გამორიცხავთ, რომ დასავლეთმა მოინდომოს პოლიტიკოს სააკაშვილის გაჩერება. ვხედავთ, რომ კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე მიმდინარეობა და თანაც საკმაოდ ხმაურიანი, რომელიც კონტრაბანდული იარაღის შეძენას ეხება.***

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს საქმე სერიოზულ სახეს მიიღებს. ამიტომ, მოდით, ასე ვთქვათ; დასავლეთში ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელიც ხელს ნაცმოძრაობას უწყობდნენ, ისინი ისევ რეალურები არიან. მათი სურვილები გასაგებია. ჩვენ, საუბედუროდ, ცხრაწლიანი ისტორია კარგად არა გვაქვს გააზრებული, რასთან გვქონდა საქმე. თქვენ ახსენეთ საშინელი სფერო — იარაღით არალეგალური ვაჭრობა და ა.შ. ამისთვის არსებობდა ახალი ხელისუფლება, რომელსაც ყველაფრისთვის თავისი სახელი უნდა დაერქმია, რადგან ამას მოითხოვს დემოკრატიული წყობა, რომ ყოველი ხელისუფლება წინა ხელისუფლების კონტროლია. ამდენად, მას სააშკარაოზე გამოაქვს ყველაფერი, რაც ხელისუფლების მიერ იქნა არამართლზომიერად გაკეთებული. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხდა. ამან, პირველ რიგში, დააზიანა ახალი ხელისუფლება. მის გამბედაობაზე და მის შესაძლებლობაზე გააჩინა სერიოზული ეჭვი, რაც ადამიანებში იწვევს გაურკვეველ და გაორებულ განწყობებს.

***— გამბედაობის არქონა გამოიკვეთა თუ უფრო პოლიტიკური ნების არქონა?***

— გითხარით, რომ პოლიტიკა უფრო შემართული და უშიშარი ხალხის საქმეა. იქ პოლიტიკური კომპრომისები არასდროს არ არის ისეთი, რომელიც პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება, პირიქით. კომპრომისები ყოველთვის არის ინტერესების მიღწევის საშუალება. გაუბედაობა მოდის ნაკლები პოლიტიკური ამბიციიდან, პოლიტიკური პროცესის ღრმად არცოდნიდან ანუ პოლიტიკური დილეტანტიზმიდან და ილუზიებიდან. ილუზიები პოლიტიკაში ყველაზე საშინელი რამაა, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკურ ლიდერს ანგრევს. პოლიტიკაში როგორი აღმაფრენაც არ უნდა გქონდეს, თუ მას შედეგები არ მოსდევს, დღეს თუ არა, ხვალ პოლიტიკური ლიდერი თუ ჯგუფი, უბრალოდ, იქნება თამაშიდან გაყვანილი.

***— გამოდის, ივანიშვილის გუნდის ძლიერებაც პოლიტიკურმა ილუზიებმა დაანგრია. ამის შედეგია სამართლიანობის აღდგენის უსუსური პროცესი და მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გადადგომა?***

— ვფიქრობ, მთავარი პროკურორის გადადგომა შემთხვევითია. ის ძალიან წესიერი ადამიანია. სხვა მხარდაჭერის შემთხვევაში, ალბათ, სხვა რამის გაკეთება შეიძლებოდა. ყველაზე დიდი შეცდომა აქ იქნა დაშვებული. უბრალოდ, პოლიტიკურმა არაპროფესიონალიზმმა ყოფითი შეხედულებები გადაიტანა ხელისუფლებაში და იმ პროცესის ხელოვნური შეზღუდვა, რასაც ჰქვია, დამნაშავეს დაარქვა დამნაშავე, არ შეიძლება, ხელისუფლებას ძალიან ცუდად არ დაუბრუნდეს და უბრუნდება კიდეც ახალ ხელისუფლებას ძალიან ცუდად.

***— პოლიტიკური არაპროფესიონალიზმი გამოიკვეთა ივანიშვილის ნაბიჯებში, როცა ეს გუნდი შეარჩია, სადაც მოკლე ვადაში გაჩაღდა შიდა დაპირისპირება, გავლენისთვის ბრძოლა?***

— ივანიშვილს ჰქონდა ბრწყინვალე შესაძლებლობა, საქართველოს საუკეთესო ინტელექტუალური და პოლიტიკური ძალები გაეერთიანებინა და უზარმაზარი სტიმული მიეცა, იმიტომ, რომ საზოგადოებაში იყო ფანტასტიკური მოთხოვნა, შეუთავსებლობა ამ ხელისუფლებასთან. ივანიშვილმა ჩემთვის, გასაგებია, რა მიზეზებითაც გააკეთა პოლიტიკური გუნდი, რომელიც პოლიტიკურად არადღეგრძელია. გამორიცხულია. დღევანდელ სიტუაციაში ის გუნდი, რომელიც ივანიშვილს რჩება პოლიტიკაში, ხელს არ უწყობს მისი ავტორიტეტის ზრდას და ამაღლებას, არადა, ეს ფანტასტიკურად კარგი რესურსი იყო. თუ ივანიშვილი სერიოზული ადამიანების გვერდით იმუშავებდა და ძალიან ამბიციურ მიზნებს დაისახავდა, ის შეიძლება საოცრად სასარგებლო ყოფილიყო ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, მიმაჩნია, რომ ივანიშვილი არაეფექტურად იქნა გამოყენებული. ეს, გარკვეულწილად, მისი ბრალიცაა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი მარგველაშვილი: „მე ყველას პრეზიდენტი ვიქნები!“

ნათია ხურცილავა

**საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს კონსტიტუციაზე ფიცი დადო. ინაუგურაციის ცერემონიალი გუშინ პარლამენტის ყოფილი შენობის ეზოში გაიმართა. ფიცის დადების ცერემონიალი მოკრძალებული და სადა იყო, თუმცა პარლამენტის ძველი შენობის ეზოში იყო ჯარი, პატრიარქი, საერთაშორისო დელეგაციები, საპატიო სტუმრები და ორკესტრი.**

პრეზიდენტი მარტო იდგა ტრიბუნასთან, საიდანაც ხალხს მიმართა. მანამდე კი ეს სიტყვები წარმოთქვა:

– მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის. – განაცხადა მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილი საქართველოს მე-4 პრეზიდენტია. პრეზიდენტმა ხალხს ასე მიმართა:

– დღეს ხალხის ნებამ გაიმარჯვა. ეს გამარჯვება დემოკრატიული პროცესის კონსოლიდაციაში გამოიხატება. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით ხელისუფლების ცვლილების პრეცედენტის შექმნით ჩვენ შევძელით სახელმწიფოებრივი განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე გადასვლა. დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი და დაიწყო თანამედროვე ტიპის დემოკრატიის მშენებლობა, რითიც ახალი, ევროპული ტიპის პოლიტიკურ კულტურას დავუდეთ სათავე. ქართველი თავისი ინდივიდუალური შეგნებით ევროპელია, თავისი ბუნებით დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილია, მაგრამ ჩვენ აქამდე ვერ ვახერხებდით, რომ ჩვენი ევროპელობა სახელმწიფოებრივ, ინსტიტუციურ განზომილებაში გადაგვეტანა. შარშანდელი პირველი ოქტომბრის შემდეგ ჩვენ შევძელით ჭეშმარიტად ევროპული პოლიტიკური პროცესებისთვის დაგვედო სათავე. ერთი წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა გაგვაერთიანა. ერთიანობით ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შეუძლებელი ჩანდა – მშვიდობიანად, არჩევნებით საფუძველი ჩავუყარეთ ჩვენი ქვეყნის წარმატებულ პოლიტიკურ მომავალს. ამის შემდეგ ჩვენ არა მხოლოდ შევინარჩუნეთ და განვამტკიცეთ სტაბილურობა ქვეყანაში, განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, სოციალური პროექტები, არამედ მოვახერხეთ მაღალი დემოკრატიული სტანდარტების არჩევნების ჩატარება. ამ არჩევნებში ჩვენმა კოალიციამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ბუნებრივია, ნებისმიერ საპრეზიდენტო არჩევნებში არის მხოლოდ ერთი გამარჯვებული, მაგრამ ყველას გასაგონად მინდა ვთქვა – როგორც პრეზიდენტი, მე ვემსახურები თითოეულ თქვენგანს. საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ერთნაირად ვიქნები უფლებათა დაცვის გარანტი. რა პოზიციებიც არ უნდა ჰქონოდათ მოქალაქეებს არჩევნების დროს, ჩვენ, ყველას გვაერთიანებს საერთო მიზანი – მშვიდობიანი, გაერთიანებული, დემოკრატიული, განვითარებული და ლაღი საქართველო. – მიმართავს ხალხს მარგველაშვილი.

გიორგი მარგველაშვილი პირობას დებს, რომ დემოკრატიული მმართველობის ტრადიციას დაამკვიდრებს ქვეყანაში.

– ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი ხელისუფლება განუხრელად იზრუნებს დემოკრატიული მმართველობის ტრადიციის დამკვიდრებისთვის, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკურ წინსვლაზე. ხელისუფლების უმთავრეს მიზნად ჩვენ ვისახავთ თითოეული ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას. საქართველოს დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედია. ეს გაგვიმარტივებს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას და ქვეყნის სანდო საერთაშორისო პარტნიორად ჩამოყალიბებას განაპირობებს. – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა გუშინ აფხაზებსა და ოსებსაც მიმართა და მათ საერთო სახელმწიფოს შექმნისკენ მოუწოდა. მიმართვის ადრესატები აფახაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილებიც იყვნენ, რომლებმაც საკუთარ სახლებში დაბრუნების პირობაც მიიღეს.

– აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ თანამოქალაქეებს ჩვენ ვთავაზობთ – ერთად ვაშენოთ წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფო, ქვეყანა, რომელიც მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობის, ეთნიკური, კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტი იქნება. ჩვენი პრიორიტეტია დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება მათ საკუთარ სახლებში. მანამდე კი – მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა და უფლებათა დაცვა. მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, სახელისუფლებო გუნდთან ერთად ვიღებ ამ პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობას. – განაცახდა მარგველაშვილმა.

გარეშე საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ქვეყნის მთავარსარდალმა სამშობლოს დაცვაზეც ისაუბრა.

– როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ვაცხადებ, რომ ვიზრუნებ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით გარეშე საფრთხეების მოსაგერიებლად. ამავდროულად, ნებისმიერი საერთაშორისო თუ შიდა პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა ქვეყნის უცვლელი კურსია. – განაცხადა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილმა ფიცის დადების დროს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე და კონკორდატის დაცვის გარანტიებზე გააკეთა აქცენტი.

– ჩემი საგანგებო ზრუნვის საგანი იქნება იმ მოქალაქეთა ინტერესები, ვისაც განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება. როგორც პრეზიდენტი, ვიქნები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საკონსტიტუციო შეთანხმების დაცვის გარანტი. ამავდროულად, განუხრელად დავიცავ საქართველოში მცხოვრები ყველა აღმსარებლობის წარმომადგენელთა კონსტიტუციურ უფლებებს. – აცხადებს მარგველაშვილი.

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა ქვეყნის დასავლურ კურსზე და ამ მიმართულებით გადასადგამ ნაბიჯებზე.

– მოხდება ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება. ჩვენი პრიორიტეტია, მაქსიმალურად მოკლე ვადებში შევძლოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, ხელმოწერა, რაც საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის შეუქცევადობის ინსტიტუციური დადასტურება იქნება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილური განვითარების გრძელვადიან გარანტიას თავისუფალი სამყაროს სრულფასოვანი წევრობა წარმოადგენს. ეს კი საბოლოოდ ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციით მიიღწევა.

საქართველო კვლავაც აგრძელებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით, რომელთაც საკუთარი პროფესიონალიზმით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ გლობალური უსაფრთხოების დაცვაში, მათ შორის, ავღანეთში აისაფის მისიაში მონაწილეობით. მე, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, ქედს ვიხრი ჩვენი დაღუპული გმირების ხსოვნის წინაშე. მათი სახელი დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

ჩვენი პრიორიტეტია შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობების სრულფასოვანი და ყოველმხრივი განვითარება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში და ასევე თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებში. ჩვენ მნიშვნელოვან ძალისხმევას მივმართავთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების ინიცირებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი სტრატეგიული კავშირების განმტკიცებას. საქართველოს აქვს ისტორიული მისია, იქცეს ევროპასა და აზიას შორის თანამშრომლობის, დიალოგისა და თანხმობის ადგილად, ამიტომ ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ შავი და კასპიის ზღვების რეგიონების, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებას, მათთან ტრანსნაციონალური პროექტების ხელშეწყობასა და რეგიონში მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას. – ამბობს მარგველაშვილი.

პრეზიდენტმა საქართველოს როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა კავკასიის რეგიონში.

დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკით საქართველომ უნდა შეიძინოს კავკასიური ინტერესების გამაერთიანებლის ფუნქცია. მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან. – აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

დაბოლოს როგორ აპირებს ამ ფონზე ქვეყნისთვის ყველაზე რთული პრობლემის გადაჭრას, რომელიც აქამდე ვერც ერთმა პრეზიდენტმა ვერ მოაგვარა. საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დალაგებას აპირებს.

– მიუხედავად დღეისათვის არსებული გართულებული ვითარებისა, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას, გავაღრმავოთ რუსეთთან დიალოგი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად, საქართველოს ეროვნული ინტერესების – საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის გათვალისწინებით, და ურთიერთნდობის საფუძველზე გადავჭრათ დღეს არსებული პრობლემები. – ამბობს მარგველაშვილი.

გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის რანგში პირველი ბრძანება გამოსცა საქართველოს პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილს და მის მთავრობას ახალი მთავრობის დამტკიცებამდე მოვალეობის შესრულება დააკისრა.

მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც პრეზიდენტმა თავისი პირველი განკარგულებით მოვალეობის შესრულება დაავალა ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებამდე, სრული შემადგენლობით ესწრებოდა ინუგურაციას.

მინისტრები არაპომპეზური ცერემონიალით კმაყოფილები ჩანდნენ, ყოველ შემთხვევაში მათ ასეთი პოზიცია დააფიქსირეს პრესასთან.

– ახლა ყველამ ერთად უნდა დავიწყოთ რეალური შრომა ქვეყნის გასამთლიანებლად და ეკონომიკური აღმავლობისათვის. – უთხრა ჟურნალისტებს ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა პრეზიდენტის ინაუგურაციის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ დღევანდელი დღე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არის ახალი ნაბიჯის გადადგმა ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებისკენ.

– მე ვულოცავ მთელ საქართველოს, პრეზიდენტსა და უმაღლეს მთავარსარდალს გიორგი მარგველაშვილს და ახლა ყველამ ერთად, ყველა მოქალაქემ უნდა დავიწყოთ რეალური შრომა ჩვენი ქვეყნის გასამთლიანებლად და ჩვენი ეკონომიკური აღმავლობისათვის. – ამბობს ალასანია.

იუსტიციის მინისტრი კი გუნდური მუშაობის პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას.

– დღეიდან ხელისუფლების შტოებს შორის გუნდური მუშაობის პერიოდი იწყება. – უთხრა ჟურნალისტებს ინაუგურაციის ცერემონიალის დასრულების შემდეგ თეა წულუკიანმა.

– დღეს არის ძალიან დიდი დღე. მინდა ის მივულოცო ქართველ ხალხს, ყველას, ვინც გიორგი მარგველაშვილს ხმა მისცა და მათაც, ვისაც ხმა არ მიუცია, რადგან ის ყველას პრეზიდენტი იქნება. დღეს იწყება საქართველოში ერთ გუნდად მუშაობის დრო ხელისუფლების ყველა შტოს შორის, რამაც საბოლოოდ უნდა მიგვიყვანოს მყარ დემოკრატიამდე და ევროპამდე, იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისთვის ესაა უმნიშვნელოვანესი. – აცხადებს წულუკიანი.

სახელმწიფო მინისტრყ პაატა ზაქარეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებიდან ჩამოშორებაზე საუბრობს.

– მოისპო ის ძალა, რომელიც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლიდა და ეს იყო „ნაციონალური მოძრაობა“. – განაცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

– დღეს მნიშვნელოვანი დღეა და საქართველოს ვულოცავ ამ დღეს. მთავარია, რომ ხელისუფლება გამთლიანდა და სახელმწიფო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა – ანუ საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში არ იქნება. საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლით უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება მთავრობას და პოლიტიკურ ძალებს. დღეს მოისპო ის ძალა, რომელიც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლიდა. ეს იყო „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მთავრობასთან არ თანამშრომლობდა. ის რეფორმები, რაც ჩვენს მთავრობას აქვს ჩაფიქრებული, ახლა უფრო ჩქარა განხორციელდება. – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილმა, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის სიტყვასთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო სიტყვაში პრიორიტეტებად ტერიტორიული მთლიანობა, ევროინტეგრაცია და რუსეთთან დალაგებული ურთიერთობები დაინახა.

– პრიორიტეტები იყო ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც დაფუძნებული იქნება ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესებზე. ეს იყო ევროინტეგრაცია და ასევე, რუსეთთან დალაგებული ურთიერთობა, თუმცა რუსეთის ინტერესები უნდა იყოს ჩვენს ინტერესებთან შეზავებული და მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ საქართველო მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმართული იქნება. – აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

მინისტრთა კაბინეტის კიდევ ერთი წევრი, სოზარ სუბარი კი ამბობს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პირველად გაჩნდა შანსი, რომ ქვეყანა განვითარდეს.

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა საქართველოს პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვის ძირითად ასპექტებზე ისაუბრა.

– დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პირველად დადგა შანსი, რომ ქვეყანა განვითარდეს და ასეთი მიმართულებით იაროს. პრეზიდენტმა ისაუბრა მთავარ გზავნილებზე და ეს არის ქვეყნის დამოუკიდებლობა და კონსოლიდაცია. მან ისაუბრა ადამიანის უფლებებზე, რომელიც ყველაფრის ცენტრშია. ასევე ევროინტეგრაციასა და ყველა მეზობელ ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე, მათ შორის, ყველაზე რთულ მეზობელთან – რუსეთთან. – განაცხადა სუბარმა.

# ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვს“

## რა შემთხვევაში დაიშლება „ქართული ოცნება“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

*— გუშინ პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართა, ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. თუმცა ვიდრე მარგველაშვილის შესახებ ვისაუბრებთ, როგორც იქნა, დამთავრდა სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობა, როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები სააკაშვილის მოღვაწეობისა?*

— იმდენჯერ შეფასდა სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობა, რომ რაიმე ახლის დამატება ძალიან ძნელია... პირველ რიგში ის, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა დღესაც ვერ გაიგეს, რატომ არ უნდა ხალხს ისინი. ძალიან ხშირად იმეორებდნენ, რომ ეს ავაშენეთ, ის გავაკეთეთ, თავს იწონებდნენ სხვადასხვა მიღწევებით, მაგრამ დღემდე ვერ მიხვდნენ, რატომ არ უნდა ხალხს ისინი. მათ მიაჩნიათ, რომ ხალხი უმადურია და ვერ ხედავენ იმას, რომ თუ ყველაფრის ქვაკუთხედი არ არის ერთი კონკრეტული ადამიანი, მათივე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თუ სარგებელს ვერ ნახავს მათი რეფორმებიდან, ადამიანებს არ სჭირდებათ ასეთი ხელისუფლება. როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იყო და საბჭოთა ქვეყანა არსებობდა, მაშინ ყველა აღიქვამდა საკუთარ თავს, როგორც ჭანჭიკს, იმ ერთი დიდი მანქანის. მაგრამ მაშინ იდეოლოგია იყო ასეთი. ახლა ის იდეოლოგია აღარ არსებობს და ის, რომ ადამიანები მასალად გამოიყენო რაღაცა რეფორმებისთვის, სრულიად წარმოუდგენია 21-ე საუკუნეში. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თავიანთი უფლებებისთვის და თავიანთი თანამოაზრეების უფლებებისთვის ასე რომ იბრძვიან, ღელავენ და წარმოუდგენელ განცდებში არიან, რატომ არ ფიქრობენ, რომ სხვა დანარჩენ ადამიანებს, ვის უფლებებსაც 9-10 წლის განმავლობაში ლახავდნენ, ისინიც ასე განიცდიდნენ. ამას რატომ არ გრძნობენ? თვალნათლივ ჩანს, რომ მათთვის იყო დახარისხებული ადამიანები თავისიანებად და დანარჩენებად, რომლებსაც არანაირი უფლებები არ ჰქონდათ. ალბათ, ძირითადად მაინც ეს დარჩება.

*— ამოიწურა სააკაშვილის პრეზიდენტობა. გვესმის, როგორი განცხადებები კეთდება, რომ მას კითხვებიც კი არ უნდა დავუსვათ, არამც თუ დაისაჯოს... რის შედეგია ეს ყველაფერი?*

— ეს გასაკვირიც არ არის, 10 წელი ცოტა დრო ხომ არ არის? მან დასავლეთში შეიძინა მხარდამჭერები, მეგობრები. ხშირ შემთხვევაში ეს უანგარო სულაც არ ყოფილა. ჩვენ ვიცით, რა თანხებს ხარჯავდა ის ლობისტებზე და უბრალოდ „მეგობრებზე“. ამიტომ ეს განცხადებები არავის არ უნდა უკვირდეს. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ დასავლეთი, ევროპა, ნებისმიერი სხვა ქვეყანა, ეს არ არის ცალსახა ერთიანი რაღაც გუნდი, რომელიც ასე თვლის, რასაც ჩვენ გვასმენინებენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. იქ არიან მისი მეგობრებიც, მაგრამ არიან სულ სხვა ორიენტაციის ადამიანებიც. ქართული ოცნების ამოცანა იყო, ისევე კარგად და ეფექტიანად ემუშავა ჩვენს მეგობარ ქვეყნებთან, როგორც ამას აკეთებდა ნაციონალური ხელისუფლება, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ. პრობლემა ამაშია და არა იმაში, რომ მაგალითად გიგა ბოკერია ყველაფერს გააკეთებს, რომ სათავისო პუბლიკაციები განთავსდეს დასავლეთში, რომ განცხადებები იყოს სააკაშვილის და მისი გუნდის მხარდამჭერი. ის რომ ამას აკეთებს, ეს გასაკვირი არ არის. გასაკვირია, რატომ არ აკეთებს ამას ქართული ოცნება?!

*— მოიკოჭლებენ პიარში?*

— მათ თავიდანვე თქვეს, რომ ჩვენ პიარი არ გვჭირდება, ჩვენ საქმეს ისე გავაკეთებთო. პიარი ცუდი სიტყვა კი არ არის და საგინებელი, პიარი არის საზოგადოებასთან ურთიერთობა და საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა უნდა შეგეძლოს. შენ შეიძლება ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთო, მაგრამ მე, ერთი კონკრეტული ადამიანი თუ არაფერს გავიგებ ამის შესახებ, რა აზრი აქვს. აქ მარტო იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რომ შეაქოს ვინმემ ხელისუფლება... მე მაგალითად თუ არ მეცოდინება რა სიკეთეები მეკუთვნის სახელმწიფოსგან და სად უნდა მივიდე და მოვითხოვო ეს სიკეთეები, მაშინ ეს ტყუილად გაკეთებული საქმეა. იგივეა საერთაშორისო ასპარეზზეც, შენ თუ ვერ მოახერხებ, მიიტანო ობიექტური ინფორმაცია, რა ხდება, როგორ ხდება, მათ ექნებათ ის ინფორმაცია, რომელსაც აწვდიან ნაციონალები.

*— რაც შეეხება სააკაშვილს, როგორ ფიქრობთ, დარჩება ის ხელშეუხებელი?*

— ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ეს ზუსტად ასე ჩანს. ის, რომ წავიდა და უკან არ ბრუნდება, მე მგონი, ერთი მხარის ინტერესშიც არის და მეორესიც. სააკაშვილის ინტერესში იმიტომ რომ იმუნიტეტი ამოეწურა და არ უნდა, რომ გარისკოს და ქართული ოცნების ინტერესებშია იმიტომ, რომ აქ რომ იყოს სააკაშვილი, ხალხი დასვამს კითხვას — კი მაგრამ, ხომ აღარ არის ეს კაცი პრეზიდენტი, რატომ არ თხოვთ პასუხს?

*— თქვენ ფიქრობთ, რომ აღარ დაბრუნდება? გარკვეული პერიოდი მაინც...*

— აუცილებლად დაბრუნდება, ოღონდ მას შემ-

დეგ, რაც მიიღებს ხელშეუხებლობის გარანტიებს.

*— ინაუგურაციაზე დასწრებაზე უარი თქვა და თან რამდენიმე პირობაც წამოაყენა...*

— ვინც ვიცნობთ პირადად სააკაშვილს, ახლა როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ის დაესწროს მისი შემცვლელის ინაუგურაციას. ხომ წარმოუდგენელია, რომ მან ასე წყნარად და მშვიდად გადასცეს ვინმეს ძალაუფლება. ეს ემოციურად მისთვის გადაულახავია.

*— თქვენ ბრძანეთ, მას შემდეგ დაბრუნდება რაც ხელშეუხებლობის გარანტიებს მიიღებსო და რამდენად მყარი იქნება ეს გარანტიები?*

— მანამდე, ვიდრე ღევან ბერძენიშვილი ახმოვანებს ისეთ მოსაზრებებს, რომ გიგა ბოკერია თურმე გიგანტია, ანუ ქართული დემოკრატიის მამა, ვიდრე ბერძენიშვილი ამბობს, რომ ჩვენ თუ სააკაშვილს დავიჭერთ, მეორე კლასიდან ნულ კლასში გადავვარდებით და თუ გვინდა, რომ მეოთხე კლასში გადავიდეთ, არ უნდა დავიჭიროთ სააკაშვილი, მანამდე ეს სრული გარანტიაა მისი ხელშეუხებლობის. აი, როგორ მიიღებს ამას მოსახლეობა, რომელსაც სული კბილით ეჭირა და ელოდა საპრეზიდენტო არჩევნებს, რომ მერე მაინც რაღაც შეიცვლება. აი, ხალხი როგორ შეხვდება ამას, ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

*— რაც შეეხება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას, თავიდანვე იყო საუბარი, რომ საკმაოდ მოკრძალებული ინაუგურაცია იქნებოდა... რას ველოდებით მომავალი ხელისუფლებისგან?*

— ხელისუფლება არ იცვლება, შეიცვალა მარტო პრეზიდენტი. ახლა მოკრძალებული ეს ინაუგურაცია მარტო იმიტომ კი არ იყო, რომ პარლამენტის შიდა ეზოში ჩატარდა. არამედ იმიტომაც, რომ გადახედეთ თუნდაც შეერთებული შტატების დელეგაციას, ახალი ხელისუფლება, როგორც ძველი, სულ ამტკიცებს, რომ ის ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორია, რომ მისთვის მთავარია ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ამ დროს დელეგაციის ხელმძღვანელი არის იუვესეიდის, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების ადმინისტრატორი. ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. პრაქტიკულად ერთი არცთუ მაღალი თანამდებობის პირი შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლისა, დანარჩენი არც ერთი არ არის პოლიტიკური ფიგურა და ელჩი, რომელიც ისედაც აქ არის, თბილისში. ამას მოკრძალებულიც აღარ ჰქვია.

*— თქვენი აზრით, რატომ არ ჩათვალეს მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენი პრეზიდენტის ინაუგურაცია?*

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართულმა ოცნებამ გადააჭარბა იმის პროპაგანდაში, რომ პრეზიდენტი არაფერი არ არის. ეს ერთი, მეორე ის, რომ როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უყურებენ რა ცვლილებები მოხდება, ჯერ შეფასების რეჟიმში არიან. და მესამე, როგორც ჩანს, იმდენად დარწმუნებულია შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, რომ აქ ყველაფერი მოაგვარა, იმის ჩათვლით, რომ წინა ხელისუფლება, მათი პროექტი — სააკაშვილი, პრაქტიკულად გადაარჩინა ქართული ოცნების ხელით, რომ ალბათ ძალიანაც თავს აღარ შეწუხებენ ამ მიმართულებით. ჩვენ ყველა მოწმე ვართ იმისი, რომ შეერთებული შტატების ელჩი, სხვადასხვა დონეზე, მუდმივად ერევა რაღაც საკითხების გადაწყვეტაში. გამოდის, რომ ელჩი უფრო წონადი ფიგურა არის, ვიდრე პრეზიდენტი.

*— ხალხი რას უნდა ელოდეს?*

— ხალხი აღარაფერს აღარ უნდა ელოდეს, იმიტომ, რომ ეს კოჰაბიტაცია, რომელიც ყველას შესძულდა, სიტყვაც და შინაარსიც, ნელ-ნელა გადავიდა ამ ორი პოლიტიკური ძალის სიმბიოზში. დაუკვირდით ახლა, ამაზე მეტი პარადოქსია რა უნდა იყოს, ქართული ოცნება, სახელისუფლო პოლიტიკური ძალა და ნაციონალური მოძრაობა გუშინდელი სახელისუფლო ძალა უნდა ყოფილიყვნენ ინაუგურაციაზე და ესეც კი ჩაუშხამეს ნაციონალებმა და არ მოვალთო თქვეს და არც მისულან. ე.ი. ვიწრო წრის პრეზიდენტის ინაუგურაცია მოხდა დღეს. ის რომ არსებობს დანარჩენი პოლიტიკური ძალები, არსებობს საზოგადოება, აიმ თითქოს ეს ყველაფერი არც ყოფილა.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ არც ამ შემთხვევაში მოხდება ხალხის ინტერესების გათვალისწინება?*

— არა მგონია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე ამის არანაირი ნიშანწყალი არ ჩანდა და არც დღეს არ არის საბაბი, რომ სხვანაირად ვიფიქროთ.

*— რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს და მის როლს, რა გააკეთა ამ ერთ წელში და რას გააკეთებს სამომავლოდ?*

— რა გააკეთა, ერთი დანაპირები ნამდვილად შეასრულა, რომ სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი, თუმცა ისედაც რომ არ იქნებოდა, ვიცოდით, ხომ? მაგრამ მეორე მხრივ, მან მოუსპო სააკაშვილს საშუალება, ამ ეტაპზე მაინც, რომ ახლა უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში მოვლენოდა ქვეყანას. იმიტომ, რომ მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობას შეუძლია თავისი პრემიერ-მინისტრი დაამტკიცოს. ეს უდავოდ გააკეთა. გააკეთა ის, რომ ამ ქვეყანაში აღარ არის შიშის და ტერორის ვითარება. ეს უდიდესი მონაპოვარია, იმიტომ, რომ ადამიანებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. აი, რაც შეეხება დანარჩენ დაპირებებს, ისინი არ შესრულებულა. დღესაც რომ ამოვიღოთ ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამა, მთელ რიგ პუნქტებს ვნახავთ, რომელიც არ შესრულდა. ბოლო მაგალითი ამისი არის ხუდონჰესის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. გარკვევით ეწერა ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამაში, რომ საქართველოში აიკრძალება გიგანტური ჰესების მშენებლობა. ახლა პირდაპირ გვეუბნებიან, რომ რაც უნდა თქვათ და როგორი წინააღმდეგიც არ უნდა იყოთ, ხუდონ ჰესი აშენდება. მე ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია. რას გააკეთებს მომავალში ივანიშვილი? — მან განაცხადა, რომ იქნება სამოქალაქო სექტორში და იქიდან დაეხმარება საქართველოს. ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუ იგი ამას მართლა გააკეთებს. იმიტომ, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება აღმოჩნდა ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ვინც იყვნენ ნაციონალური მმართველობის მომხრეები, არასამთავრობო სექტორიდან, ისინი გადაბარგდნენ ხელისუფლებაში. ახლა როდესაც დაკარგეს ძალაუფლება, იმ ხელისუფლებიდან ისევ გადაბარგდნენ არასამთავრობო სექტორში და მთელი რიგი თანამდებობის პირები, ახლა გვმოძღვრავენ ტელევიზიიდან, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ხომ? ამ ვითარებაში, რეალური სამოქალაქო სექტორი პრაქტიკულად ჩათვალეთ, რომ არ არის, ანუ პოლიტიკურად ანგაჟირებულის გარდა, რომელიც მართლაც მხოლოდ მოქალაქეების ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. ამ სექტორს დახმარება სჭირდება და აქ მარტო ფინანსურ დახმარებაზე კი არ არის ლაპარაკი, თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა საჭიროა ისეთი ავტორიტეტები გაჩნდეს სამოქალაქო სექტორში, რომელთა სიტყვას საზოგადოება ენდობა. ნდობა რომ ივანიშვილის მიმართ ძალიან მაღალია, ეს ჩვენ ვიცით. ახლა ცოტა რთული წარმოსადგენია ივანიშვილი ენჯეოს ხელმძღვანელის როლში, მაგრამ როგორც ავტორიტეტი, რომლის სიტყვასაც აქვს ფასი და მნიშვნელობა, ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგი იქნება.

*— გუშინდელ ინაუგურაციას თუ არ ჩავთვლით, ივანიშვილი ბოლო პერიოდი აღარ გამოჩენილა...*

— მან განაცხადა უკვე, რომ მიდის და რამდენიმე დღეში სრულიად ახალ კონფიგურაციას ვიხილავთ, მათ შორის მთავრობის. შეიცვალა პრემიერი, იცვლება შინაგან საქმეთა მინისტრიც, შეიძლება სხვა ცვლილებებიც იყოს, იცვლება მთავარი პროკურორი და ვნახოთ, უახლოეს ხანებში ეს გამოჩნდება.

*— საუბარია, რომ შესაძლოა კიდევ რამდენიმე მინისტრი ვერ მოხვდეს ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტშიო... თქვენი აზრით, ვის გაუშვებს ღარიბაშვილი?*

— არ მინდა კონკრეტულად დასახელება, მაგრამ რამდენიმე მინისტრი რომ შესაცვლელია, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ვიმეორებ, ეს ისევ ღარიბაშვილის გადასაწყვეტია. თუმცა ვინაიდან ქართული ოცნება არის კოალიცია, აქ ისეთი, ძლიერი რყევები არცთუ სასარგებლოა. ყველა მინისტრი, რომელიღაც პოლიტიკურ ძალას წარმოდგენს, არ შეიძლება ეს იყოს მაპროვოცირებელი, მაგალითად კოალიციის დაშლისა.

*— შეიძლება, რომ ამის გამო დაიშალოს?*

— რა თქმა უნდა. რატომ აქვს ამა თუ იმ მინისტრს ეს პორთველი მიღებული? იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური ძალა იყო ამ კოალიციაში. თუ მთავრობაში არ იქნება წარმოდგენილი, არის ერთი-ორი კაცი, რომელიც დანამდვილებით ვიცი, რომ წავა კოალიციიდან.

*— ასევე სოზარ სუბარზე საუბრობენ ძალიან ხშირად, რომ ერთ-ერთი პირველი ის იქნება, ვინც დატოვებს მინისტრის პორტფელს...*

— ვერ გეტყვით. მან თავად თქვა, რომ სურვილი ჰქონდა, სხვა ადგილას ემუშავა. მოდით, ისიც ვთქვათ რა, რომ სააკაშვილის დანატოვარი ციხეები, ნამდვილად არ არის სანატრელი სამუშაო ადგილი. შიდა ვითარების გათვალისწინებით და საერთოდ ძალიან მძიმეა ემოციურად ეს უწყება. თავის დროზე თუ გახსოვთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შევიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ახლა ეს არის წარმოდგენილი ცალკე სამინისტრო. სამინისტრო, რომელიც მარტო პატიმრებზეა ორიენტირებული, საკმაოდ მძიმე სამართავია. ამიტომ არ მიკვირს მისი განცხადება, რომ მას სურვილი აქვს სადმე სხვაგან იმუშაოს.

## ბიძინა ივანიშვილი ჯეიმს აპატურაის შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა ივანიშვილი, გუშინ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ჯეიმს აპატურაის შეხვდა. შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ფარგლებში გაიმართა.

ჯეიმს აპატურაიმ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია მიულოცა და ქვეყნის განვითარების საქმეში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის საკითხები განიხილეს.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ტაკაო მაკინოს შეხვდა. შეხვედრა პრეზიდენტის ინაუგურაციის ფარგლებში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე მიულოცა. ასევე, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობების ასპექტებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

საუბარი ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ურთიერთმხარდაჭერის საკითხებსაც შეეხო.

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა ორი ქვეყნის მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა სტუმრებს აშშ-ს მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

ნიუსპრესი

## ირინა იმერლიშვილი: „საქართველო ოფიციალურად გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა“

საქართველოს ახალი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მიერ ფიცის დადებისთანავე ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და საქართველო ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს განცხადება პრეზიდენტის ინაუგურაციის დასრულების შემდეგ, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა გააკეთა. მისი თქმით, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა.

„ვფიქრობ გიორგი მარგველაშვილი ერთ-ერთი წარმატებული პრეზიდენტი იქნება. საქართველოს არამარტო ახალი პრეზიდენტი ყავს, არამედ, სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა, ვინაიდან ფიცის დადებისთანავე ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და საქართველო გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა. ყველას ვუღოცავ და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის წარმატებული წლები დაიწყება“, — განაცხადა პარლამენტარმა.

როგორც იმერლიშვილმა აღნიშნა, ხვალ საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა წარედგინება. შემდეგ კი, ირაკლი ღარიბაშვილი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას დაასახელებს.

„ვფიქრობთ, რომ უკვე ოთხშაბათს მინისტრთა ახალი კაბინეტის დამტკიცების პროცესი დასრულდება“— განაცხადა იმერლიშვილმა.

ნიუსპრესი

# შალვა ნათელაშვილი: „ერთი მე ვარ იაპონიის პრეზიდენტი და მეორე — მარგველაშვილია საქართველოს პრეზიდენტი“

## ლეიბორისტები ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

ქართველი ლეიბორისტების ლაშქარი გუშინ პარლამენტის ძველ შენობას მიადგა. აქცია შალვა ნათელაშვილმა რამდენიმე დღის წინ დააანონსა და მთელ საქართველოს რუსთაველზე გასვლისკენ მოუწოდა. სრულიად საქართველომ მისი შთაგონება არ შეისმინა და ლეიბორისტებს მცირერიცხოვანი ძალებით მოუხდათ ახალი ხელისუფლების დაგმობა.

ლეიბორისტები პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე დაპატიჟებული არ იყვნენ. შალვა ნათელაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა პარლამენტის შიდა ეზოში სცადეს შესვლა, მაგრამ არ გამოუვიდათ.

აქციის მონაწილეები დაცვის წევრებმა პარლამენტის შესასვლელამდე არ მიუშვეს, საპატრულო პოლიციამ კი მიმდებარე ტერიტორია გადაკეტა.

ნათელაშვილმა განაცხადა, რომ ის სტუმრების მისვლას ხელს არ შეუშლიდა და დატოვებდა ტერიტორიას, თუმცა მანამდე აღნიშნა, რომ დღეიდან იწყებს ბრძოლას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით და არ ცნობს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს.

აღშფოთებულმა ლეიბორისტებმა პარლამენტის შენობის წინ საარჩევნო ბიულეტენები მიმოაბნიეს. როგორც ლეიბორისტების ლიდერმა ნათელაშვილმა განმარტა, მის

მიერ მიმობნეული ბიულეტენები საპრეზიდენტო არჩევნებზე გაყალბდა.

შალვა ნათელაშვილმა აქციაზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაც მოითხოვა. ის ძალიან კატეგორიული იყო, თუმცა აქცია რამდენიმე წუთში დაასრულა.

მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ 53 ქვეყნიდან დელეგაციაა ჩამოსული, აქციის გაგრძელება მიზანშეწონილი არაა.

მისი განცხადებით, საქართველო დღეს პრეზიდენტის გარეშეა დარჩენილი, მის მიერ მოწყობილ აქციას კი ისტორიული მოვლენა უწოდა.

– დღეს დაგვეკისრა ისტორიული მისია. აქ ვინც ვართ, ვიცავთ ერის ღირსებას ძალადობისგან, სიცრუისგან. დღეს ორი მთავარი ღონისძიება ტარდება კავკასიაში – ერთი არის ცრუ პრეზიდენტის ინაუგურაცია და მეორე ვართ ჩვენ, აქ შეკრებილი მამულიშვილები. ივანიშვილმა და სააკაშვილმა შვეს კოჰაბიტირებული პროდუქტი ხელის ბიჭის სახით, რომელიც ფიცს დებს და ჰგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტია. ერთი მე ვარ იაპონიის პრეზიდენტი და მეორე – ეგ არის საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს. ის არ აურჩევიათ. მარგველაშვილი არის ცრუ და არ ვცნობთ მას პრეზიდენტად, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

დღეიდან კი ლეიბორისტები არჩევნების შედეგების გაბათილებისთვის იწყებენ ბრძოლას. ბრძოლა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვისაც იწყება. ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს მათი ბრძოლა.

# მირონ ფირცხელანი: „ხუდონჰესის უკან რუსები დგანან!“

## რა ახალი საფრთხე ემუქრება საქართველოს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ სრულიად საქართველო ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაციის მოლოდინში იყო გარინდული. ყველას ყურადღება ამ ღონისძიებისაკენ იყო მიმართული. საზოგადოების ნაწილმა კი გადაწყვიტა, ამ დღეს გიგანტური ჰესების მშენებლობა კიდევ ერთხელ გაეპროტესტებინა.

აქცია ინაუგურაციის დღეს სპეციალურად დაგეგმეს. აქციის ორგანიზატორთა თქმით, ამ აქციით სურდათ შეემოწმებინათ, ესმის თუ არა ხელისუფლებას ხალხის. აქციის ორგანიზატორთა შორის ჟურნალისტებიც იყვნენ. აქტიურობდა გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ ჟურნალისტი დარეჯან მეფარიშვილი.

– მე, დარეჯან მეფარიშვილი, ერთი რიგითი ქართველი, ვესაუბრე არაერთ სპეციალისტს, რომელთაც ამიხსნეს, რომ მსგავსი ჰესების მშენებლობა საქართველოს არანაირად არ წაადგება. სპეციალისტები მოტივირებულად ხსნიან, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს მსგავსმა მშენებლობებმა... ხელისუფლება აცხადებს, რომ ჰესები საქართველოს ბიუჯეტისთვის დიდშემოსავლიანი იქნება, არადა, სპეციალისტები საპირისპიროს ამტკიცებენ და უფრო მეტიც, ვარაუდობენ, რომ ეს მშენებლობა დაანგრევს საქართველოს, წყალსა და მეწყერს გაატანს არა მხოლოდ ყაზბეგსა და სვანეთს. მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია: ინაუგურაციის პარალელურად, პარლამენტის გარეთ ტარდება მდუმარე აქცია ამ მშენებლობების საწინააღმდეგოდ. ჟურნალისტებო, რომლებიც სავსებით სამართლიანად, მაგრამ დაგვიანებით აპროტესტებდით ცოტა ხნის წინ ოკუპანტ რუსების მიერ წამოწყებულ მცოცავ ოკუპაციას, ამჯერადაც გამოდით და 2009 წელს დაწყებული მცოცავი ოკუპაციის პარალელურად გააპროტესტეთ დღეს დაწყებული ოკუპაცია, რომელიც რუსეთს საქართველოს იმ ნაწილსაც მიართმევს ლანგრით, რაც ჯერ კიდევ საქართველოს კუთვნილებაა. ნუ ჩაძირავთ ღვთივბოძებულ ღია ცისქვეშეთის მუზეუმებს, ნუ მისცემთ ხელისუფალს უფლებას, გააგრძელოს სააკაშვილის რეჟიმის გზა! გამოდით და გააპროტესტეთ, რაც ხდება, მიიწვიეთ ღია ეთერში ბატონი მირონ ფირცხელანი, რომელიც დეტალურად და მოტივირებულად დაამტკიცებს, რომ ამჯერადაც რუსული ხელით იმართება მიმდინარე პროცესი. გამოდით და გააპროტესტეთ ეს ყველაფერი! თქვენ ხომ ძალიან ობიექტურები ხართ, ასე ვთქვათ, ზედმეტადაც კი... გამოდით ინაუგურაციის დღეს, 17 ნოემბერს, პარლამენტის წინ და დუმილით თქვით თქვენი სათქმელი. დაე, მსოფლიომ გაიგოს, რომ ჩვენ ვცოცხლობთ და ჩვენ ვიბრძვით! – ასე მოუწოდა დარეჯანმა ხალხს აქციაზე მისვლისკენ.

სამწუხაროდ, ხალხი ბევრი არ იყო, მაგრამ აქცია მაინც შედგა. აქციის მონაწილეებს იმედი აქვთ, რომ მიზანს მიაღწევენ და ხელისუფლებას გიგანტურ ჰესებზე ხელს ააღებინებენ.

რა საფრთხეებს შეიცავს, ხუდონჰესი, ვინ იყენებს საპატრიარქოს სახელს, რა საფრთხე მოდის რუსეთიდან ამ თემებზე „ახალ თაობას“ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე **მირონ ფირცხელანი** ესაუბრა.

***– ხუდონჰესის წინააღმდეგ უკვე გამართეთ რამდენიმე აქცია. ახლა მდუმარე აქცია მოაწყვეთ. ამ დუმილით რისი მიღწევა გინდათ? ხმაურით ვერაფერს გახდა ხალხი და დუმილი რა შედეგს მოიტანს?***

– ამ მდუმარე აქციით კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მიიღონ გონივრული გადაწყვეტილება. ამ აქციით ჩვენ გვინდა იმის გარკვევა, ესმის თუ არა ხელისუფლებას ხალხის ხმა. ჩვენ ამ თემაზე არაერთი აქცია და შეხვედრა გავმართეთ. წარმოვადგინეთ საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტები. ახლა გვაინტერესებს, შეისმინეს ეს არგუმენტები თუ ჩვენი მცდელობა კედელზე ცერცვის შეყრაა და სხვა არაფერი.

***– თუ ხელისუფლება არ გაიზიარებს ამ არგუმენტებს, მერე რა მოხდება?***

– ეს იქნება ძალიან ცუდი რამე. თუ არ შეისმენენ ხალხის მოთხოვნას, მაშინ ამიხსენით, რითი განსხვავდებიან წინა ხელისუფლებისაგან? ფაქტობრივად, იმავეს აკეთებენ, რასაც წინა ხელისუფლება. კი ბატონო, დღეს ტელეფონით საუბრის აღარ ეშინიათ, ქუჩაში ხალხს აღარ ხოცავენ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ბევრ რამეს არ ნიშნავს.

***– რატომ არ ნიშნავს?***

– იმიტომ, რომ ხვალ შეიძლება იგივე გამეორდეს. როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, თავიდან ისიც კარგად იქცეოდა. მერე და მერე დაიწყო საშინელებების ჩადენა. თუ ხელისუფლებამ ხალხის აზრის გათვალისწინება არ დაიწყო, მაშინ ძველი ხელისუფლების კურსი გაგრძელდება. ამიტომ მე მოვუწოდებ ხალხს, ნუ ვიქნებით გულუბრყვილოები. თავს იმით ნუ ვიმშვიდებთ რომ ხალხს აღარ ხოცავენ და იჭერენ. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო ერთად უნდა დავდგეთ.

ამ შემთხვევაში მე მარტო ხუდონის წინააღმდეგ გამოსვლებს არ ვგულისხმობ. ესენი ქვეყნის ფედერალურ მოწყობასაც აპირებენ, ჩვენ ამის წინააღმდეგაც უნდა გამოვიდეთ. ყველაფერი უნდა გავაპროტესტოთ რაც ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს. მე დარწმუნებული ვარ რომ ხელისუფლებამ იცის თუ რა ზიანის მომტანია გიგანტური ჰესები ქვეყნისთვის. ამის მიუხედავად ისინი ხალხთან დიალოგისკენ ერთ ნაბიჯს არ დგამენ, რაც ძალიან ცუდია და ეს ხელისუფლებას თავად შეუტრიალდება ცუდად.

***– ხელისუფლება კი ჰესების მოწინააღმდეგეებს მოუწოდებს გონივრული ქმედებებისკენ. ენერგეტიკის მინისტრი ამბობს, რომ სახელმწიფოებრივად უნდა იაზროვნონ და ჰესის წინააღმდეგ არ წავიდნენ, რადგანაც სახელმწიფოს სჭირდება. ამ არგუმენტზე რას იტყვით?***

– ყველაზე ამაზრზენი ისაა, როცა მთავრობის წევრი გამოდის და ამტკიცებს, რომ გიგანტური ჰესის აშენება ქვეყნისთვის სასარგებლოა. თუ სასარგებლოა, მაშინ გადავხედოთ მცირე ტექნიკურ მხარეს. ხელშეკრულების თანახმად, ეს ჰესი კერძო კომპანიის საკუთრებაა. ის არც საქართველოს და არც საქართველოს მოქალაქეებს არ ეკუთვნის. ამით ისინი არღვევენ კონსტიტუციის მესამე მუხლს საკუთრების ნაწილში და ორგანული კანონის მეოთხე მუხლს. აქედან გამომდინარე, ჰესიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად გავა საზღვარგარეთ. გვპირდებიან დენის გარკვეული რაოდენობის მოწოდებას. ეს, იცით, რამდენია? ენერგეტიკოსებს დაანგარიშებით, ეს გახლავთ მხოლოდ მხოლოდ 10 დღის მარაგი. გავითვალისწინოთ, რომ ამ ენერგიას ძალიან მაღალი ფასი ექნება და 18 თეთრი ეღირება. თუკი ეკონომიკურად არ არის სარგებლობის მომტანი, თუკი ქმნის ყველაზე დიდ რისკფაქტორს, რა აზრი აქვს მის აშენებას.

***– რა რისკფაქტორებზე საუბრობთ?***

– როგორც ენგურზე, ასევე ხუდონის წყალსაცავში მილლიარდ-ნახევარი კუბი წყალი გუბდება. ეს მთელ დასავლეთ საქართველოს უქმნის საფრთხეს. განსაკუთრებით ცუდ დღეში, შესაძლოა, სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი აღმოჩნდნენ. ასევე გასათვალისწინებელია რუსების ფაქტორიც.

***– მხედველობაში რა გაქვთ?***

– რუსები კაშხლიდან 10 კილომეტრში დგანან. რუსები არ მალავენ, რომ ენგურის ხეობის მთლიანად გაკონტროლება სურთ.

***– როცა ამბობთ, კაშხალიდან 10 კილომეტრში დგანან რუსებიო, რომელ კაშხალზე საუბრობთ?***

– იმ კაშხალზე, რომელიც ხუდონჰესისთვის უნდა აშენდეს. ერთადერთი გზაა კოდორის ხეობაში შესასვლელი, ორმელეთის ხეობის გავლით. იქ რუსები დგანან. ხაიშიდან სულ რაღაც 10 კილომეტრიც არ არის. ეს კაშხალი უცხოელების საკუთ-

რებაში იქნება, რასაც რუსები არ დაუშვებენ.

***– რატომ არ დაუშვებენ?***

– იმიტომ, რომ ერთადერთი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, რომელიც იქ გადის, რუსების საკუთრებაშია. ამდენად, როგორ გგონიათ, რუსი სხვას მისცემს უფლებას, მისმა ენერგიამ გაიაროს მის მაღალი ძაბვის გადამცემში? მათ თურქეთთან უკვე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება. ახალი გადამცემი ხაზიც აშენდა და ქვესადგურიც. რუსეთმა თურქეთს მომავალ წელს 10-15 მილიარდ კილოვატ/საათი უნდა მიჰყიდოს. არც ერთი ჭკუათმყოფელი უცხოელი მილიარდ 200 მილიონს არ ჩადებს ამ ხეობაში, რადგანაც იქ რუსების ინტერესებია. მარტო ამიტომ კი არ მივდივართ ჰესის წინააღმდეგი, რომ ის გარემოს დააზიანებს. ჩვენ ვიცით, რომ რუსებს უნდათ ენგურის ხეობის დაპყრობა. ეს არის მთავარი მიზეზი და არა ის, რომ ჩვენ ხელს ვუშლით ქვეყნის განვითარებას. აქ რუსული სქემა ტრიალებს.

***– თქვენ არ გჯერათ, რომ ამ ჰესს ინდური კომპანია აშენებს?***

– აქ არავითარი ინდური კომპანია არ არის. მათ არც ფული აქვთ და კომპანიაც რაღაც ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული. აქ არის რუსული კაპიტალი. ჩვენი ჩინოვნიკები ცდილობენ, ეს გადაასხვაფერონ. ჩვენ ასევე ვსვამთ კითხვას, საქართველოში არსებული ყველა თბო და ელექტროსადგური რატომ არის რუსების საკუთრება, მათ შორს ენგურჰესის ნაწილი? ეს ხელშეკრულება დღემდე გასაიდუმლოებულია. არის სერიოზული ეჭვი, რომ ხუდონჰესის უკან რუსები დგანან.

მაშინ რატომ შედის მისი აშენება სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო და მის წინააღმდეგ წასვლა არის ქვეყნისთვის საზიანო? პირიქით ხომ არ არის? იქნება და საქმე გვაქვს მეხუთე კოლონასთან, რომელიც თვალში ნაცარს გვაყრის და საზოგადოებას აბოლებს. თვითონ ქეშად იღებენ ათეულობით მილიონს და საქართველოს კიდევ ერთხელ ყიდიან.

***– რა ათეულობით მილიონზე საუბრობთ?***

– არის ინფორმაცია, რომ ვიღაცებმა წინასწარ ქეშად აიღებს ათეულობით მილიონი დოლარი. ეს ის ხალხია, რომლებიც დაუფარავად ლობირებენ გიგანტური ჰესების მშენებლობას. ხომ ამტკიცებენ, რომ მისი აშენება სახელმწიფოს სჭირდება. მაშინ დაგვისხდნენ და დოკუმენტები წარმოადგინონ. თუ ისინი დაგვიმტკიცებენ, რომ მართლები არიან, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ. აგერ უკვე 12 აქცია გავმართეთ, მაგრამ არავინ გამოსულა ჩვენთან სალაპარაკოდ.

***– რატომ არ მოდიან?***

– იმიტომ, რომ არგუმენტები არა აქვთ და იგნორირებას გვიკეთებენ. ამ ნაბიჯით ხალხის პოზიციას არაფრად აგდებენ, რითიც ძველ ხელისუფლებას ემსგავსებიან.

***– ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ თქვა, სვანეთში ავალ და პირადად დაველაპარაკები ამ ხალხსო.***

– სვანეთში რამდენიმე აქცია გავმართეთ. მისი ეს განცხადება მოვისმინეთ და იმედი გვქონდა, რომ აქციაზე მოვიდოდა. სამწუხაროდ, არ ამოვიდა ბატონი ბიძინა სვანეთში. ამის შემდეგ სვანები ჩამოვიდნენ აქ მასთან შესახვედრად. მათ ივანიშვილთან აუდიენცია ითხოვეს, პრემიერთან საუბარი და ამ თემის განხილვა უნდოდათ, მაგრამ ისინი ივანიშვილს არ შეახვედრეს. 300-მდე სვანი მის რეზიდენციასთანაც ავიდა, პატარა აქცია გამართეს. ამით იმის გარკვევა სურდათ, ესმის თუ არა ივანიშვილს ხალხის. არადა, პირობა აქვს დადებული.

***– ძალიან ცუდია ის მომენტი, რომ ამ საქმეში საპატრიარქოც ჩართეს. ავრცელებენ ხმებს, თითქოს პატრიარქმა ყაზბეგსა და სვანეთში ჰესების აშენებაზე კურთხევა მისცა. ამაზე რას გვეტყვით?***

– ვერავინ დამაჯერებს, რომ უწმინდესმა ჰესების აშენებაზე კურთხევა მისცა. ეს დაუჯერებელი და გაუგონარი ტყუილია.

***– რატომ ფიქრობთ, რომ ეს დაუჯერებელია?***

– იმიტომ, რომ ვიცი პატრიარქის პოზიცია. რამდენიმე თვის წინ პატრიარქი თავად იყო სვანეთში ასული. მას მოსახლეობა შეხვდა და სთხოვა, ჰესის აშენება არ დაეშვა. უწმინდესს გადასცეს ჰესის წინააღმდეგ შეგროვილი ხელმოწერები. სულ 2 ათასი ხელმოწერა იყო. ეს ხელმოწერები თავად პატრიარქმა წამოიღო ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. ამის გარდა, ბევრჯერ გაიმართა შეხვედრა საპატრიარქოს წარმომადგენლებთან. არსად და არავის უთქვამს, რომ ჰესის აშენებაზე კურთხევას აძლევენ. მეტსაც გეტყვით, ხაიშში გამართულ აქციაზე მეუფე და მამაოც მივიდნენ. ისინი წინ აღუდგნენ ეკლესიების ნგრევასა და საფლავების გადათხრას. ამის შემდეგ როგორ შეიძლება, საპატრიარქო თანახმა იყოს. ამის გაკეთება დაუშვებელია. ახლა ვიღაც მკითხავს, საქართველოში ენერგეტიკა ხომ უნდა განვითარდესო? აუცილებლად უნდა განვითარდეს. ამას ჩვენც ვეთანხმებით, ოღონდ მცირე და საშუალო ჰესებით უნდა განვითარდეს. გიგანტური ჰესები სხვაა. არ შეიძლება ამ საქმეში საპატრიარქოს ჩართვა. ეს არის არასწორი და ტყუილი. ვაფრთხილებთ ყველას, ნუ სპეკულანტობენ ეკლესიით. ჩვენ პირადად შევხვდით პატრიარქს და ვიცით მისი პოზიცია. ის გვაძლევს დადებით რჩევებს. ეს არის ძალიან კარგი.

***– და მაინც რა მოხდება, თუ დაიწყებენ ჰესის აშენებას?***

– თუ ხალხის აზრს არ გაითვალისწინებენ, მოხდება ის, რაც წინა პერიოდში მოხდა.

***– ანუ?***

– როდესაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობა ხალხს აზრს არ ითვალისწინებს, ის ძალიან მალე გადაშენდება.

# გიორგი თევზაძე: „ვეტერანთა უფლებები ისევ ირღვევა!“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი და ვეტერანთა ომბუდსმენი გიორგი თევზაძე ვეტერანთა უფლებების დაცვის აუცილებლობაზე საუბრობს. მისი თქმით, ვეტერანთა პრობლემები ერთი და ორი წლის განმავლობაში არ დაგროვილა, მაგრამ აუცილებელია, დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და მოაგვაროს მათი პრობლემები.**

**გიორგი თევზაძის განცხადებით, ვეტერანები ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ და საჭიროა, სახელმწიფომ იზრუნოს მათზე.**

– ვეტერანთა პრობლემები ერთი და ორი წლის მანძილზე არ დაგროვილა. მრავალი წელია, ვეტერანები მუდმივად ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ. ამაზე მეტყველებს ის მოძველებული კანონმდებლობა, რომელიც ადგენს რეგულაციებს ვეტერანებისთვის. ფაქტობრივად, თითქმის უცვლელად მოქმედებს 1995 წლის კანონი „საქართველოს ომისა და შეიარაღებული ძალების შესახებ“, რომელიც აცდენილია დღეს არსებულ რეალობებს, თანაც, ცვლილებების შემდეგ მნიშვნელოვნად შეკვეცილია. პირველ რიგში, შეკვეცილია ვეტერანთა სოციალური ინტერესები. თუმცა, პრობლემა მხოლოდ ეს არ არის. პრობლემა ისიცაა, რომ ამ რეგულაციების შეცვლა და მისადაგება საერთაშორისო მოთხოვნებთან დღემდე არ ხორციელდება. თუმცა, არის გარკვეული სასიკეთო ცვლილებებიც. გარკვეული კატეგორიის ვეტერანებზე მცირედით გაიზარდა ფინანსური დახმარება. ასევე განხორციელდა ვეტერანთა დაზღვევა, მაგრამ სადაზღვევო პაკეტი ვერ უზრუნველყოფს ვეტერანებისთვის აუცილებელი საჭიროებების დაფინანსებას. სამწუხაროდ, ამის პოლიტიკური ნება წინა ხელისუფლებებს არ გააჩნდათ, რაც აისახა კიდეც ვეტერანებისადმი გამოვლენილ უყურადღებობაში, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

მისი თქმით, უცხოეთის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სათანადოდ ფასდება ვეტერანთა წვლილი ქვეყნის წინაშე. მათი დამსახურებებისა და საჭიროებების მიხედვით ხდება ვეტერანებისათვის სოციალური სარგებლის პაკეტის განსაზღვრა, ასევე სრული ფსიქო-სარეაბილიტაციო და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

– გასაგებია, რომ საქართველოს ბიუჯეტი არ იძლევა საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით ვეტერანთა სოციალურ მხარდაჭერას, მაგრამ ბიუჯეტის სოციალური სამართლიანობის პრინციპით გადანაწილების შემთხვევაში, დღევანდელი საქართველოს ბიუჯეტიც იძლევა გაცილებით მეტი სოციალური პაკეტის შეთავაზებისა და ვეტერანებისთვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას. საუბარია სახელმწიფო ნების ნაკლებობაზე, რომელიც წლების განმავლობაში არ იცვლება. ვიმედოვნებთ, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის უწყებრივი რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს ვეტერანთა საკითხებზე სახელმწიფო უწყების საქმიანობის გააქტიურებას. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიგვეღო ვეტერანთა ახალი დეპარტამენტის მარეგლამენტირებელი დებულების სამუშაო ვერსიის განხილვაში და მიგვეწოდებინა ჩვენი რეკომენდაციები. ასევე ვიმედოვნებთ, რომ დეპარტამენტის ახალ უწყებასთან გვექნება აქტიური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის შესაძლებლობა, როგორც დღეს გვაქვს ჩვენ, საქართველოს ვეტერანთა ფედერაციას და სხვა აქტიურ ვეტერანულ ორგანიზაციებს ვეტერანთა დეპარტამენტთან, – იმედოვნებს გიორგი თევზაძე.

***– ხელისუფლების მხრიდან ვეტერანთა მიმართ პოლიტიკა და გეგმები როგორია?***

– ჯერჯერობით ხელისუფლების გამოკვეთილი ნება ვეტერანების მიმართ არ ჩანს. ამაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, ეს იკვეთება მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებით, რომელიც ვეტერანების მიმართ არ შეცვლილა. ასევე ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენ და საქართველოს ვეტერანთა ფედერაციამ ერთობლივად მოვამზადეთ კანონპროექტი ვეტერანების შესახებ, რომელიც ორიენტირებული იყო საერთაშორისო მოთხოვნებთან ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე, ქვეყნის საბიუჯეტო შესაძლებლობების გათვალისწინებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ჯერჯერობით, ვერ მივაღწიეთ ამ კანონპროექტზე მსჯელობის დაწყებას. ასევე ვერ მივაღწიეთ თუნდაც მოქმედ კანონში კოსმეტიკურ ცვლილებებს. ეს ფაქტიც ბევრ რამეზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, გვრჩება იმედი, რომ მომდევნო წელს ხელისუფლება გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას და დაიწყებს არასამთავრობო სექტორთან და ექსპერტებთან კონსულტაციებს კანონმდებლობის რეალური და ადეკვატური განვითარებისთვის. ამ მიმართულებით ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციასთან და საქართველოს ვეტერანთა ფედერაციასთან ერთად ვგეგმავთ გარკვეულ აქტივობებს. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული ვალდებულებები. ეს ვალდებულებები ასახულია ომის ვეტერანთა საერთაშორისო ფედერაციის 2003 წლის 5 დეკემბრის 24-ე გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ „ომის ვეტერანთა და ომის მსხვერპლთა უფლებების დეკლარაციაში“, რომლის თანახმად, დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნის მთავრობები აღნიშნავენ, რომ ომის ვეტერანთა და ომის მსხვერპლთა სოციალური და სხვა უფლებები მრავალ ქვეყანაში, პრაქტიკულად, იზღუდება და ძალიან ხშირად ამ უფლებების დაცვა მინიმალურ დონეზეა. ეყრდნობიან, სოციალური განვითარების ინტერესებში უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრის (6-12 მარტს, 1995 წელს, კოპენჰაგენში) გადაწყვეტილების მე-4 მუხლის გ პუნქტს, რომელიც ავალდებულებს სამიტის მონაწილეებს, ხელი შეუწყონ სოციალური დაცვის, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეორე მსოფლიო ომისა და სხვა ომების ვეტერანების, აგრეთვე ომის მსხვერპლთა სრულ ინტეგრაციას. მოუწოდებენ გაეროს წევრ ქვეყნებს, მიიღონ სასწრაფო ზომები, სრულყონ და განაახლონ კანონმდებლობა, რომლებიც ეხება ომის ვეტერანებსა და ომის შედეგად დაზარალებულებს. მოახდინონ სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება. უნდა დააწესონ სხვა შესაბამისი შეღავათები. საჭიროა ომის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ-ფსიქოლოგიურ სირთულეებთან ბრძოლა, ომის ვეტერანთა და ომის მსხვერპლთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის სამშვიდობო და მსგავს ოპერაციებში მონაწილეების სათანადო მოვლა მისიის შესრულებამდე, შესრულებისას და შესრულების შემდეგ. ეს არის ამ დოკუმენტით გასატარებელი ღონისძიებები. ასევე გაცხადებულია მათი მხრიდან მზადყოფნა, გააგრძელონ თანამშრომლობა ამ სფეროში გაეროს წევრ ქვეყნებთან საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

***– რა ინფორმაციები იყრის თავს თქვენთან ვეტერანთა კონკრეტული უფლებების დარღვევის ფაქტებზე?***

– პერიოდულად შემოდის განცხადებები და საჩივრები ვეტერანების მხრიდან, რომელთა უმეტესობა სოციალურ პრობლემებს უკავშირდება. არის შემთხვევები ვეტერანთა განცხადებებზე სახელმწიფო უწყებების მხრიდან არაადეკვატური და არაჯეროვანი რეაგირებებისა. თუმცა, ბოლო პერიოდის დინამიკა გვიჩვენებს, რომ საჩივრების რაოდენობა, გარკვეულწილად, შემცირდა. შესაძლებელია, ეს განპირობებულია ნაკლები დარღვევებით ან შესაძლებელია ვეტერანთა წრეებში პრობლემების მოგვარებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. მაგალითის სახით გავიხსენებ ვეტერანთა ერთ-ერთი ორგანიზაციის თავმჯდომარის ნოდარ ცოტნიაშვილის განცხადებას, რომელიც ვეტერანთა ომბუდსმენის აპარატში შემოვიდა. ამ განცხადებით იგი მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას ვეტერანთა დეპარტამენტში. მას ასევე პრეტენზიები აქვს ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარესთან. როგორც ვეტერანთა ომბუდსმენისთვის, ყოველთვის პრობლემატურია კონფლიქტი ვეტერანებსა და ამ სფეროზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს შორის, რადგან ეს კონფლიქტი ყოველთვის ასუსტებს პრობლემების კომპლექსურ დარეგულირებას. ამ პრობლემების ძირითადი გამომწვევი მიზეზი წლების განმავლობაში მოუგვარებელი საკითხებია, რომლებიც, მათი გადაუწყვეტელობის გამო, ყოველწლიურად იზრდება და ძლიერდება. რაც დრო გავა, უფრო მძაფრ სახეს მიიღებს. ამიტომ ვითხოვდით და ვითხოვთ ამ პრობლემების მოგვარებისთვის მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას, ამ პროცესის დაუყოვნებლივ დაწყებას. ჩვენ ვიქნებით პრინციპულნი. ნოდარ ცოტნიაშვილთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კონფლიქტური ვითარება ძირითადად ნოდარ ცოტნიაშვილსა და დეპარტამენტს შორის ნაკლები კომუნიკაციით იყო გამოწვეული, რის გამოც რეკომენდაციით მივმართეთ დაპირისპირებულ მხარეებს, პირადი კომუნიკაციის პირობებში სამართლებრივ ჩარჩოებში მოეგვარებინათ პრობლემური საკითხები. საბედნიეროდ, ჩვენი შეთავაზება ორივე მხარემ გაიზიარა, რითაც დადასტურდა, რომ ეს კონფლიქტი ხელოვნური ხასიათის იყო. როგორც ვეტერანთა ომბუდსმენი, 2012 წლის 12 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ვთანამშრომლობთ, რაც საშუალებას გვაძლევს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საქართველოს კანონმდებლობით სახალხო დამცველისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და სახელმწიფო უწყების თანამონაწილეობით შეესაძლებელი გავხადოთ ვეტერანთა პრობლემების დარეგულირება. ამასთანავე, ამ სფეროში არსებულ საკითხებზე კონსულტაციებისთვის ვგეგმავთ შეხვედრას სახალხო დამცველთან, ბატონ უჩა ნანუაშვილთან. ვეტერანთა პრობლემატიკის იდენტიფიცირებისა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე აქტიურად ვთანამშრომლობთ ვეტერანთა სფეროში მოქმედ საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან.

***– ძირითადად რა მოთხოვნები აქვთ ვეტერანებს?***

– პრობლემა ბევრია. მათ შორისაა საკანონმდებლო დონეზე მოსაგვარებელი პრობლემები. დღეისათვის შეჩერებულია პროგრამები, რომლებიც ეხებოდა ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ ტერიტორიული მთლიანობისთვის, რასაც წლების მანძილზე ხელისუფლება სათანადოდ არ აფასებდა. საუბარია სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანებზე, მათ შორის, ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე ვეტერანებზეც. ფაქტობრივად, სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი ამ ადამიანების კეთილდღეობისა. სამწუხაროდ, კეთილდღეობაზე საუბარი ზედმეტია, როცა დღესდღეობით ვეტერანები და ვეტერანებთან გათანაბრებულ პირთა უმეტესობა რეალური საარსებო სახსრების გარეშეა დარჩენილი. საჭიროა კომპლექსური მიდგომა. ვეტერანთა პრობლემების მოგვარებაში უნდა ჩაერთოს ამ სფეროში მოქმედი არასამთავრობო სექტორი. საჭიროა, შეიქმნას უწყებათაშორისო კომისია კომპეტენტური პირებისა და ექსპერტების მონაწილეობით. ვფიქრობთ, ჩვენ და ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციას, საქართველოს ვეტერანთა ფედერაციას, შეგვიძლია, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ კომისიის მუშაობაში ჩვენი მონაწილეობით.

***– ვეტერანთა ჯანდაცვის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია?***

– ვეტერანთა დეპარტამენტში მოქმედებდა შესაბამისი სამედიცინო კომისია, რომლის მეშვეობით მეტ-ნაკლებად ხორციელდებოდა სამედიცინო ოპერაციების მიზნობრივი დაფინანსებები. მე თავად ვიყავი ამ კომისიაში დამკვირვებლის სტატუსით. მიხარია, რომ ამ კომისიის ფარგლებში არაერთ ვეტერანს გაეწია მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ოპერაციისთვის საჭირო ფინანსური დახმარება.

***– დღეს რა ვითარებაა?***

– სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ კომისიის მუშაობა შეჩერებულია. როგორც ჩემთვის ცნობილია, ვეტერანთა დეპარტამენტი აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და, ვიმედოვნებთ, არსებული ან ახალი ფორმატით კომისიის მუშაობა აღდგება.

# საგარეჯო—„ქართული ოცნების“ ცხელი წერტილი

როლანდ ხოჯანაშვილი

დასავლეთ საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში დიდი დაპირისპირება იყო გამგებლების დანიშვნისა და შემდეგ მათი აპარატის ჩამოყალიბების გამო. საკრებულოებმა იმის იმედით, რომ „ქართული ოცნება“ „სალაყბო-საკრებულოების“ ნაციონალურ წარსულს დაუვიწყებდა, წინააღმდეგობის გარეშე შეარჩია მმართველი პარტიის რჩეული. მართალია, ამბობენ, რომ ზოგგან მუნიციპალიტეტის პირველი პირები ყოვლადძლიერმა საგანელიძემ შეარჩიაო, მაგრამ საუბრობენ იმაზეც, რომ „რესპუბლიკელებმაც“ ითამაშეს გადამწყვეტი როლიო. რესპუბლიკელებთაგან თინა ხიდაშელი პირდაპირ დაადანაშაულეს საგარეჯოს გამგებლის დანიშვნაში (ამაზე ღიად საუბრობს საგარეჯოს „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრები და კახეთის საინფორმაციო ცენტრი).

სოციალურ ქსელში ბოლო დროს აქტიურად ვრცელდება განცხადება, რომელიც ხელმოწერილია დაახლოებით 600 ადამიანის მიერ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ: „გასული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღწეული გამარჯვების შემდეგ ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, თინა ხიდაშელის წარდგინებითა და რაიონის საკრებულოზე სერიოზული ზეწოლის შემდეგ, რაიონის გამგებლად დაინიშნა საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა, გამოუცდელი პიროვნება გიორგი ლოლაძე. გავითვალისწინეთ რა თინა ხიდაშელის ავტორიტეტი, პოლიტიკური გამოცდილება, პრინციპულობა და ობიექტურობა, წინააღმდეგობა არ გავუწიეთ გიორგი ლოლაძის გამგებლად დანიშვნაში, პირიქით, ერთსულოვანი მზადყოფნა გამოვთქვით, ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოგვეჩინა ახალგაზრდა პიროვნებისათვის, მაგრამ მან გამგეობაში მისვლისთანავე შემოიკრიბა თანაკლასელი, თანაჯგუფელი თუ სხვა მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული ადამიანები და ძალიან მალე ისინი გაერივნენ ფინანსურ მაქინაციებში, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა და დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა რაიონის მოსახლეობაზე.“

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრები აცხადებენ, რომ გიორგი ლოლაძე უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მოსახლეობის მიერ დაყენებულ საკითხებს, ატარებდა არასწორ საკადრო პოლიტიკას და ფინანსურ მაქინაციებშიც გაეხვა. ამის გამო მაჟორიტარს შეხვდნენ და პრეტენზიები განუცხადეს ლოლაძის მისამართით, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს:„ან გიორგი ლოლაძე იქნება გამგებელი და რაიონში წამოვა ინვესტიციები, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიონში არაფერი არ გაკეთდება!“

კოალიცია „ქართული ოცნების“ საგარეჯოს საოლქო საარჩევნო შტაბისა და აქტივის წარმომადგენლები თინა ხიდაშელს გამგებლის ლობირებაში ადანაშაულებენ და ამასთანავე, იხსენებენ, რომ ლოლაძის მიმართ იყო აღძრული საქმე, რომელიც პროკურატურამ საეჭვოდ შეწყვიტა.

აღნიშნულზე ჟურნალისტური მოკვლევისათვის საგარეჯოში ჩასულ სოფო მთივლიშვილს (კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი) ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს (დაუზიანეს კამერა).

იმის გამო, რომ ამჟამად თინა ხიდაშელი ევროპაშია მივლინებით, დავუკავშირდით აღნიშნულ საკითხზე ხიდაშელის თანაშემწეს, ქალბატონ ნათია ქობალიას, რომელმაც ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროკურატურამ ლოლაძის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყვიტა მისი უდანაშაულობის გამო, ხოლო ახლა დაწყებული გამგებლის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ვერ მიიღეს თანამდებობები და არიან განაწყენებულები.

ქობალიას კომენტართან დაკავშირებით ალექსანდრე მეზვრიშვილმა, რომელიც „ქართული ოცნების“ საგარეჯოს საარჩევნო შტაბის წევრი იყო და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელია, შემდეგი განაცხადა: „რაც შეეხება თანაშემწის ბრალდებას, თანამდებობა კაცს უნდოდეს– ეს ნორმალურია, ძუძუმწოვარა ლოლაძეს თუ უნდა, საგარეჯოელ „აბორიგენ“ ხალხს (ღირსეულს) არ ეკუთვნის? (მე ნაღდად არ მინდა, იციან მათ). ნუ აპელირებენ ეგენი მაგ თემით, ნურც იმით, რომ თითქოს ნაცმოს ხროვა ვართ! ძალიან უბადრუკი არგუმენტებია, ეგენი დაინახავენ, რა ძალა ვართ! თინა ხიდაშელის ამბიციებს არ უნდა ემსხერპლოს გარეჯელი ხალხი. მე საგარეჯოს პატრიოტი ვარ, მეზვრიშვილი ვარ და საგარეჯოს ინტილიგენცია ჩვენს გვერდით დგას, „კოალიცია ქართული ოცნების“ გვერდით! თინა ხიდაშელის და მისი „მარჯვენა ხელის“, ნათია ქობალიას გადასაწყვეტი არ არის ამ რაიონში „მესემიჩკე“ რომელ ტროტუარზე დაჯდება, გავყინე ინვესტიციებიო! აშიშლილებ ხალხს? გაყინე რა, სანფრანცისკოდან გიგზავნის პაპაშენი? არა, თინა ხიდაშელო, ჩემო მაჟორიტარო, არ გამოვა ჩვენზე ექსპერიმენტები, არა ვართ „კროლიკები“, ამას გაიგებ მალე, მერე როცა „დაჯდები“, „ვლასტის“ ვნებებში, მადლობას გვეტყვი! გვეტყვი და მოინანიებ! მეორედაც აგირჩევთ, არა?! მოგიწევს შენი სურვილით „დასროჩნად“ წასვლა!“

როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ მიერ მოკვლეული მასალებით ჩანს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა 2013 წლის 12 ივნისს დააკავეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე და მასთან ერთად კიდევ 7 პირი: გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ივანელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ხატიაშვილი, საკრებულოს მთავარი სპეციალისტი თეიმურაზ ჯინჯიხაძე და სამი შპს-ს დირექტორი – რევაზ ბაჩოშვილი, ზაზა მაისურაძე და გიორგი ადუაშვილი.

საგარეჯოელი „პროტესტანტების“ მტკიცებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით, საგარეჯოს გამგებელს და გამგეობის თანამშრომლებს გირაო შეუფარდა, გიორგი ლოლაძეს 10 000 ლარის ოდენობით, ბესიკ მარტიაშვილს 8 000, დავით ხატიაშვილს და თენგიზ ივანელაშვილს კი 5 000 ლარის ოდენობით. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს თეიმურაზ ჯინჯიხაძეს და შპს-ების დირექტორებს – რევაზ ბაჩოშვილს, ზაზა მაისურაძეს და გიორგი ადუაშვილს, პატიმრობა შეეფარდათ. ხოლო გამგეობის და საკრებულოს ბრალდებულ თანამშრომლებს უფლებამოსილება შეუწყდათ.

ხიდაშელის თავდებობის შემდეგ ლოლაძისათვის ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა: პროკურატურამ შეწყვიტა მისი სამართლებრივი დევნა („აღარ არსებობს გიორგი ლოლაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებელი საჯარო სამართლებრივი ინტერესი“) და 24 ოქტომბერს გამოტანილი დადგენილებიდან რამდენიმე დღეში ლოლაძე აღადგინეს გამგებლად.

# ემირ ბურჯანაძე: „მაგთიკომი მომავალ თაობებს ძალიან მნიშვნელოვან საგანძურს უტოვებს“

## „აღფრთოვანებული ვარ იმ ყურადღებით, რომელსაც „მაგთიკომი“ ხელოვანი ადამიანების მიმართ იჩენს“

რამდენიმე წელია, რაც კომპანია მაგთიკომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სლოგანის „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“, წყალობით, ძალიან ხშირად მოვიხმართ სიტყვებს „კიდევ ერთი“ – „კიდევ ერთი წიგნი“, „კიდევ ერთი საღამო“, „კიდევ ერთი საქვეყნო საქმე“ და აი „კიდევ ერთი ალბომი“ – რომელიც მაგთიკომის სპონსორობითა და სრული მხარდაჭერით გამოიცა, ამასთანავე კიდევ ერთი თბილი, სასიამოვნო საღამო, რომელიც მაგთიკლუბში შედგა და დამსწრეთა გულებში საოცარი სითბო ჩაღვენთა. ეს საღამო **თანამედროვე ქართველი გრაფიკოსისა და მხატვარ-მონუმენტალისტის, ემირ ბურჯანაძის ნამუშევართა ალბომის წარდგინებას დაეთმო.** მისი სტუმრები ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად იყვნენ და მაგთიკომის დირექტორატის წარმომადგენლები.

ემირ ბურჯანაძე, უმაღლესი კლასის გრაფიკოსია და სრულყოფილად ფლობს ამ რთული დარგის საიდუმლოს. მხატვრის ინტერესების სფერო რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განისაზღვრება – საწიგნო გრაფიკა, რომელშიც წამყვანი ადგილი წიგნის გაფორმებასა და შრიფტს უკავია. არქიტექტურული კომპოზიციების ორნამენტული და ტექსტობრივი, ნაწილობრივ ქანდაკობრივი გაფორმება, ჰერალდიკა, საფირმო ნიშნები და ექსლიბრისი.

თავად ემირ ბურჯანაძის მრავალწლიანი შრომა სწორედ წიგნსა და მის გაფორმებასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მხატვარს შექმნილი აქვს ქართული ანბანის სრული ციკლი – 750 ერთეული. სწორედ ქართული ანბანია მისი განზოგადების ოსტატობისა და სიმბოლოებით აზროვნების დასტური.

ქართულ დიზაინში სწორედ ბურჯანაძის თაოსნობით შეიქმნა პირველი საფირმო და სარეკლამო ნიშნები, სხვადასხვა ემბლემები.

„ერუდირებული, საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი ხელოვანი და მშობლიური ქვეყნის ისტორიის ჩინებულად მცოდნე პიროვნება კვლავაც რუდუნებით იკვლევს ეროვნული კულტურის ყოველ ნიუანსს, განაზოგადებს და ახალ, სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს მათ“, – აღნიშნავს **ხელოვნებათმცოდნე ინგა ქარაია.**

საღამოზე გამომსვლელთა უმრავლესობა განსაკუთრებით აღნიშნავდა მხატვრის წარმატებებს ბავშვობის ასაკიდან, მის ოჯახიშვილობასა და მისი ნამუშევრების მნიშვნელობას.

**ნათელა არველაძე:** „მადლობას მოვახსენებ, ყველას, ვინც კი ხელი შეახო ამ წიგნს და დააფინანსა. ჩვენ მადლიერების მეტი არაფერი გვეთქმის, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, რომ ემირი არამარტო კარგი მხატვარია, არამედ ის არის მოქალაქე. როდესაც გადავხედავთ მის, თუნდაც ქალაქის გერმებს, მიხვდებით, რომ ჭეშმარიტი მოქალაქეა, მან გრაფიკულად გამოხატა თითოეული ქალაქის არსი, მისი მდგომარეობა და ადგილი საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაში. თუნდაც თბილისის გერბი რომ ავიღოთ, თითქოს ფრთოსანს დოინჯი აქვს შემოყრილი და ისეა გაკეთებული, რომ მის ფრთებქვეშ არის შეკედლებული ასო-ნიშნები. დედაქალაქი ამას ნიშნავს, ის უპირველეს ყოფლისა, პატრონია და კრუხივით უნდა იყოს გადაფარებული მთელს საქართველოზე.

ემირს, სხვა, რომ არაფერი გაეკეთებინა თბილისის გერბიც ეყოფოდა მაღალი რანგის შემოქმედის სტატუსის მოსაპოვებლად, როდესაც ადამიანი ამ ალბომს გადაშლის, პირველყოვლისა, გრძნობს, რომ სიტყვა, რომელიც ჩვენი ლექსიკიდან ამოვარდნილია – ოჯახისშვილობა, მამულიშვილობა, ოსტატი, პატრიტოტი კვლავ ჩვენს ლექსიკაში დაბრუნდა.“

**ნანა შერვაშიძე, ხელოვნებათმცოდნე:** „ძალიან ცოტა მეგულება ქართულ ხელოვნებაში ასეთი მრავალმხრივი ნიჭის მქონე შემოქმედი. ემირ ბურჯანაძე გრაფიკის ყველა სფეროში მუშაობს და ყველგან არაჩვეულებრივ წარმატებას აღწევს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ როგორც დაზგურ, ისე სამრეწველო გამოყენებით გრაფიკას და ასევე, ქართული ჰერალდიკის, სახელმწიფო სიმბოლოების, საიუბილეო მონეტების, ჯილდოების შექმნაში მის მიერ შეტანილ წვლილს. მან შეძლო ქართული ორნამენტების, ანბანის ახალი ინტერპრეტაციით წარმოჩენა, იმავდროულად მოახერხა ამ სიმბოლიკის, სემანტიკის, ფილოსოფიის სიღრმისეულად გააზრება, შექმნა ორიგინალური მხატვრული სახეები. ნებისმიერ ადამიანს სამუდამოდ ამახსოვრდება მისი მიერ გაფორმებული წიგნების დიზაინი.“

მეგობრები საინტერესო ისტორიებს იხსენებდნენ, მათ შორის კურიოზულსაც: მაგალითად თუ როგორ დააბრუნეს მისი სურათი მოსწავლეთა საკავშირო გამოფენიდან, რადგან ჩათვალეს, რომ მოსწავლე მსგავსს ვერ დახატავდა, ან როგორ „დაასვა ავტოგრაფი“ ცნობილ მწვრთნელ მასლოვს, რომელმაც სიმთვრალეში ვერც სიტყვა მოზომა“ და ვერც მსმენელი...

ახალგაზრდობის წლები გაიხსენა **მხატვარმა თემო გოცაძემ:** „ემირს არა მხოლოდ შემოქმედებით, თავისი ჰაბიტუსით, ქცევით, ოჯახისშვილობით განსხვავებული ხიბლი ჰქონდა. სკოლის ასაკიდანვე ჩანდა მისი ლიდერობა, მისი ნიჭიერება, როდესაც დიდ საერთაშორისო გამოფენაზე პირველი პრემიის მფლობელი გახდა სამეგობრო წრე მუდამ მის გარშემო ვტრიალებდით. იმის თქმა მინდა, რომ უბრალოდ, ჰაერიდან არაფერი მოდის, ყველაფერი იქმნება ეზოდან, ქუჩიდან სახლიდან, წარმომავლობიდან, სამეცნიერო სასწავლებლიდან, იმ ადგილიდან, სადაც ერთად ვმუშაობდით ყველაფერი ეს ერთად აღებული და შეკრებილი, დიდი შემოქმედებითი ცხოვრებაა. სულ რამდენიმე ადამიანია, რომელსაც ისეთ სიღრმეზე გაუცნობიერებია შრიფტის, ანბანის მნიშვნელობა, როგორც ეს ემირს აქვს.“

**ემირ ბურჯანაძე:** „ალბომი ძალიან მომეწონა, აღფრთოვანებული ვარ იმ ყურადღებით, რომელსაც „მაგთიკომი“ ხელოვანი ადამიანების მიმართ იჩენს. რაც შეეხება ალბომს, ეს არის ბრწყინვალე კულტურული გამოცემა, რითაც ამაყი ვიქნები სამარადჟამოდ. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ასეთი დიდი და დასაფასებელი შრომა გასწია, მით უმეტეს, რომ ეს არის ჩემი პირველი ალბომი. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი და ვერც ალბომში დაეტეოდა, მაგრამ ჩემი შემოქმედების უმეტესი ნაწილი ამ წიგნშია მოქცეული. მთავარი ის არის, რომ ალბომი ამბობს იმას, რაც საჭიროა იმისთვის, თავიც ვიცნო და სხვისთვისაც გავხდე საცნობი. საქმიანობა, რომელსაც კომპანია „მაგთიკომი“ ეწევა, შესანიშნავია, შეუფასებელია, მაგრამ ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ჩემი ალბომი გამოიცა, არამედ იქიდან გამომდინარე, რომ მომავალ თაობებს ძალიან მნიშვნელოვან საგანძურს უტოვებს“.

მამის შემდეგ კომპანია „მაგთიკომს“ მადლობა **შემოქმედის ქალიშვილმა ნატა ბურჯანაძემ** უთხრა: „ამ კომპანიაში საოცარი სიკეთის პროფესიონალიზმის, ნების და სიყვარულის გამომხატველი ადამიანები მუშაობენ. მათი მსგავსი არაფერი მინახავს ამ გუნდს ნებისმიერ დროს შეიძლება მიეყრდნო და ეს ძალიან სასიამოვნოა. როგორც ჩანს, კომპანიის მესვეურთ ასეთი ადამიანების შერჩევის დიდი ნიჭი აქვს. სხვათა შორის, სწორედ იმ პერიოდში, როცა ალბომზე მუშაობა მიმდინარეობდა, შევიტყვე, რომ თურმე მძიმე, დაუდგენელი სენით ვიყავი შეპყრობილი, რის გამოც საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა მომიხდა. „მაგთიკომის“ წარმომადგენლებმა გამაცილეს, დამაიმედეს და დაწყებული საქმეც უჩემოდ მიიყვანეს ბოლომდე. მათ ჩემს გამოჯამრთელებაშიც უდიდესი წვლილი უდევთ“.

**თათული ღვინიაშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:** ეს უკვე რიგით მე-12 ალბომია, რომელიც „მაგთიკომმა“ ქართული მხატვრობის პოპულარიზაციის მიზნით გამოსცა. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავაც ქართულ საქმეს ვაკეთებთ. „მაგთიკომი“ საშუალებას აძლევს მომავალ თაობას, ეზიაროს ჭეშმარიტ ხელოვნებას და ეროვნულ ღირებულებებზე აღიზარდოს. ეს არის გრძელვადიანი პროექტი, რომელიც მე-12 ალბომის გამოცემით არ სრულდება ამჯერად, საზოგადოებას ქართველი გრაფიკოსის და მხატვარ-მონუმენტალისტის შემოქმედების ამსახველი ალბომი წარვუდგინეთ, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა. მომავალში კიდევ ბევრ საინტერესო სიახლეს შემოგთავაზებთ. ასერომ, კვლავ მრავალგზის ვიტყვით: „კიდევ ერთი წიგნი“, „კიდევ ერთი საღამო“, „კიდევ ერთი საქვეყნო საქმე“...

**ანა ვაჩნაძე**

## ლიტვის პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილი ლიტვაში მიიწვია

სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ორმხრივი შეხვედრები გაიმართა. გიორგი მარგველაშვილმა პირველი შეხვედრა ლიტვის პრეზიდენტთან, დალია გრიბაუსკაიტესთან გამართა. ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ვილნიუსის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტთან დაკავშირებულ საკითხებს და მის მნიშვნელობას, დადასტურდა საქართველოსთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებისთვის მზაობა. „მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები საქართველოში. ეს არის ჩემი პირველი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან და მინდა მივულოცო მას პირველი დღე პრეზიდენტის რანგში. ჩემთვის პირადად და ლიტვისთვის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნისთვის სასიხარულო და აღსანიშნავია საქართველოში ხელისუფლების დემოკრატიული ცვლილება, რაც მნიშვნელოვანია საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კუთხით, განსაკუთრებით ვილნიუსის სამიტის წინა პერიოდში. მე კიდევ ერთხელ ვიწვევ საქართველოს პრეზიდენტს ვილნიუსში. ჩვენ, ევროკავშირი, მზად ვართ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმისა და ასოცირების შეთანხმების ინიცირებისთვის. მთელი პასუხისმგებლობა დღეიდან არის ამ ადამიანზე, რათა მოამზადოს თქვენი ქვეყანა შეთანხმების ხელმოწერისთვის. კიდევ ბევრი რეფორმაა გასატარებელი და პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველო წარმატებული იყოს ამ პროცესში. ვუსურვებ თქვენს ქვეყანას, რომ მიაღწიოთ ამ მიზანს. ჩვენ როგორც ყოველთვის, დავეხმარებით საქართველოს აღნიშნულ პროცესში, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ჩვენ გელით ვილნიუსში,“ – განაცხადა ლიტვის პრზიდენტმა.

**მედიანიუსი**

## ინგა გრიგოლია: „ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ“

ტელეკომპანიის „ტვ3“ გადაცემის – „დიდი პოლიტიკა“ ავტორი და წამყვანი ინგა გრიგოლია აცხადებს, რომ ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ.

ინგა გრიგოლია მიხეილ სააკაშვილის მიერ მის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვებას ფაცებოოკ-ის თავის გვერდზე გამოეხმაურა. „დილით ჟურნალისტმა რომ დამირეკა, რა კომენტარს გააკეთებ პრეზიდენტის ორდენზეო, მეგონა ხუმრობდა. მერე ვნახე ინფორმაცია. ცნობისთვის: ჩემთან არავის დაურეკავს და არც არანაირი ორდენი არ გადმოუციათ. რატომ მოვხვდი დაჯილდოებულთა სიაში, ამ კითხვას მიშას თავად დავუსვამ, თუ როდესმე მოვახერხე მასთან ინტერვიუ. მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ, არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველა ქვეყანაში“, – აცხადებს ინგა გრიგოლია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე, მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად, სახელმწიფოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დააჯილდოვა. მათ შორის თამარ მეფის ორდენებით დაჯილდოვდნენ: ცნობილი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი, ტელეკომპანიის TV-3 ტოქშოუ „დიდი პოლიტიკის“ ავტორი და წამყვანი ინგა გრიგოლია, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ტოქშოუ „პოზიციის“ ავტორი და წამყვანი ნინო შუბლაძე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ტოქშოუ „პროფილის“ ავტორი და წამყვანი მაია ასათიანი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გასართობი ტოქშოუ „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“ ავტორი და წამყვანი ნანა ჟორჟოლიანი.

**მედიანიუსი**

# გურამ ოდიშარია იუნესკოს ასამბლეის სესიას დაესწრება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინიტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, პარიზში იუნესკოს გენერალური ასამბლეის მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას მიერთებული წევრი სახელმწიფოების მე-19 სესიას დაესწრებიან. ღონისძიებები 19-21 ნოემბერს არის ჩანიშნული. საქართველო მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წევრების არჩევნებშიც.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრი შეხვდება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორს კიშორე რაოს, ასევე იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სექციის ხელმძღვანელს სესილ დუველს.

პარიზში ჩასული ქართული დელეგაცია იუნესკოს გააცნობს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების კუთხით საქართველოში ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯებს, აგრეთვე საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებს. ასევე გაიმართება შეხვედრები „იკომისოსა“ და „ისსრომის“ ხელმძღვანელებთან.

პარიზში გამგზავრებამდე გურამ ოდიშარია ყატარის სახელმწიფოს კულტურის, ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მინისტრს ჰამად ბინალ-ქუვარს შეხვდა. უცხოელი სტუმარი თბილისს ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად ესტუმრა. ორი ქვეყნის კულტურის მინისტრების შეხვედრა არაოფიციალურ გარემოში გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის აპარატის უფროსი ლევან ხარატიშვილი, ყატარის სახელმწიფო ელჩი საქართველოში მუჰამედ ბინ ხამის ნალ-ქუვარი და უცხოელი დელეგაციის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ.

საქართველოს კულტურის მინისტრმა ასევე მიიღო დელეგაცია პოლონეთიდან ვიტეკ ჰებანოვსკის ხელმძღვანელობით. შეხვედრა თბილისში დაიგეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის კონგრესზე მინისტრის ვიზიტის დროს ლუბლინში. დელეგაცია პოლონეთიდან თბილისში პროექტის „ერთიანი კავკასია 2014: ფარგლებში ჩამოვიდა.

გურამ ოდიშარიას ინიციატივით გაიმართა დასუფთავების აქცია ილიას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ღონისძიებაში მინისტრსა და სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკაკი ღოდია და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი არსოშვილი და სააგენტოში აღრიცხვაზე მყოფი პირობითი მსჯავრდებულები, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლები. მინისტრის ინიციატივას გამოეხმაურა არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ხელმძღვანელი გიორგი ჭულუხაძეც. 4 სახელმწიფო უწყების გარდა ძეგლის დასუფთავებაში აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებიც ჩაერთნენ.

ძეგლის რეაბილიტაციის დაწყებამდე ჩატარდება მოსამზადებელი სამუშაოები ძეგლის მიმდებარე ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. საგურამოში მდებარე ილიას ძეგლი მცხეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია. გურამ ოდიშარიას ინიციატივით ილიას ძეგლის სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჩაერთვება. ჯერჯერობით უცნობია მოიშლება თუ არა ილიას ძეგლთან მისასვლელი კიბეები, რომელიც დღეს ფაქტიურად აღარ არსებობს.

კულტურის სამინისტროს მიერ გრძელდება ინიცირებული პროექტი „ჩემი საქართველო აქ არის“. ამჯერად დმანისის მუსიკოსები კონცერტით ოზურგეთს ესტუმრნენ. ოზურგეთის დრამატულ თეატრში გაიმართა დმანისისა და ოზურგეთის შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლითი კონცერტი. დმანისის მუსიკოსებს ოზურგეთის ადმინისტრაციულმა ცენტრმა უმასპინძლა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, სამინისტროს წარმომადგენლები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

– ეს პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ინიციატივით, „რეგიონებში კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერისა და წახალისების პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება. მისი მიზანია რეგიონებს შორის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების ურთიერთგაცნობა, დამეგობრება და გამოცდილების გაზიარება, – აღნიშნა ბადრი ბაგრატიონ გრუზინსკიმ.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „კიდევაც დაიზრდებიან“, ამავე სახელწოდების ქორეოგრაფიული ანსამბლი, სამეჯლისო ცეკვების სტუდია „დანსი“ და სტუდია „ბერიკები“.

პროექტის „ჩემი საქართველო აქ არის“ ფარგლებში უკვე გაიმართა ოზურგეთის მუსიკოსების კონცერტი დმანისში, ასევე ლანჩხუთის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი ბოლნისში. ამავე პროექტის ფარგლებში საპასუხო კონცერტი ლანჩხუთს ბოლნისელი მუსიკოსებისაც დაიგეგმა.

დასრულდა კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი კონკურსი „კალამი“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსში სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი სოციალურ-შემეცნებითი პროექტის ლიტერატურული კონკურსის „კალამი“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. გამარჯვებულებმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ფულადი საჩუქრები მიიღეს. ღონისძიებაზე შედგა კრებულის პრეზენტაცია, სადაც მსჯავრდებულთა მიერ კონკურსისთვის წარმოდგენილი საუკეთესო ლიტერატურული ნიმუშებია შესული.

ლიტერატურული კონკურსი საქართველოს 16 საპატიმრო დაწესებულებაში ჩატარდა. კონკურსის შედეგად გამოვლინდა ექვსი გამარჯვებული ორ ნომინაციაში – პროზაული და პოეტური. ლიტერატურული კონკურსი „კალამი“ პატიმრებისთვის მიმდინარე წლის 25 ივლისს დაიწყო და მასში მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა მიიღო. პირველ ადგილზე გასულმა ავტორებმა ჯილდოს სახით კულტურის სამინისტროსგან 500 ლარი მიიღეს, მეორე ადგილზე გასულებმა 400 ლარი, მესამე ადგილზე გასულმა ავტორებმა კი 300 ლარი.

კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა სპეციალურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მწერლები დავით ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი და პოეტი რატი ამაღლობელი. მსჯავრდებულთა მიერ კონკურსისთვის წარმოდგენილი საუკეთესო ლიტერატურული ნიმუშები კრებულის სახით გამომცემლობა „საუნჯის“ მიერ გამოიცა. წიგნის პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასკვნით ღონისძიებაზე შედგა. პროექტს ორგანიზებას უწევდა არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივი“. კონკურსის მხარდაჭერა კი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ითავა.

სამინისტროს ინიციატივის მწერალთა სახლში თამთა მელაშვილთან და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანთან შეხვედრა გაიმართა. საღამოს მწერალთა სახლში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის ხელმძღვანელი დეა მეტრეველი დაესწრო. საღამოზე რომანის „გათვლა“ ავტორმა და მთარგმნელმა წიგნის შესახებ ისაუბრეს და წაიკითხეს ნაწყვეტები გამარჯვებული ნაწარმოებიდან.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, წიგნი ქართულიდან გერმანულად ითარგმნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითვე გამოიცა შვეიცარიაში. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში საქართველომ პირველად მოიპოვა მნიშვნელოვანი ჯილდო. თამთა მელაშვილი და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდნენ.

ავტორები მცირე რომანისთვის „გათვლა“ პირველ ადგილზე გავიდნენ კონკურსში ნომინაციით „წლის საუკეთესო ახალგაზრდული ლიტერატურა“. აღნიშნული ჯილდო ყოველ წელს ფრანკფურტში წიგნის ბაზრობის დროს გადაიცემა. 2003 წლიდან გამარჯვებულისთვის დაწესებულია ჯილდო 8.000 ევროს ოდენობით.

ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი ამავე რომანისთვის „გათვლა“ დაჯილდოდა ლიტერატურული პრემიით „საბა“ ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანისათვის (თამთა მელაშვილის „გათვლა“ (გერმანული თარგმანი)).

მწერალთა სახლში გაიმართა ცოტნე ჩიქოვანის ნოველების კითხვაც. ავტორთან ერთად საღამოს უძღვებოდა და ნოველებს კითხულობდა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი ნინო კასრაძე. ცოტნე ჩიქოვანის პროზაული თხზულებების კრებული სახელწოდებით „ცხოვრების გზაზე“ შარშან დაიბეჭდა პირველ ქართულ ჯიბის წიგნის სერიაში „ზებრა პოკეტ“. იგი 2013 წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში დასახელდა ლიტერატურულ პრემიაზე „საბა“.

– ეს კრებული მოიცავს ოც ნოველას, რომელთაგან ნაწილი 90-იან წლებში გამოქვეყნდა, ნაწილი კი პირველად იბეჭდება. ცოტნე ჩიქოვანმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. 90-იან წლებში მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალსა და გამომცემლობაში. დღევანდელი მისი პროფესიული საქმიანობა არ არის დაკავშირებული ლიტერატურასთან, – განაცხადეს „ზებრა გრუპში“.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ამერიკამ სამაგიერო გადაგვიხადა

**საქართველო – აშშ 23:25**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი, თედო ზიბზიბაძე (ბექა წიკლაური 68), დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე; დავით ხინჩიგაშვილი (მიხეილ ნარიაშვილი 56), შალვა მამუკაშვილი (სიმონ მაისურაძე 68), დავით ქუბრიაშვილი (ლევან ჩილაჩავა 56), კონსტანტინე მიქაუტაძე, ლევან დათუნაშვილი (გიორგი ნემსაძე 63), შალვა სუთიაშვილი (გიორგი თხილაიშვილი 73), მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე

**მარქაფა:** ვაჟა ხუციშვილი, ლაშა მალაღურაძე

**2 ლელო:** კვირიკაშვილი, შარიქაძე

**2 გარდასახვა:** კვირიკაშვილი

**3 კარიმა:** კვრიკაშვილი

**აშშ:** კრის ვაილზი, ბლეინ სქაილზი, ფოლაუნ ნიუა, ენდრიუ სუნიულა, თიმ მოპინი (ლუკ ჰიუმი 58), ადამ სიდელი, მაიქ პეთრი; ნიკ ვოლესი (ოლივე კილიფი 77), ფილ თილი, ერიკ ფრაი, გრემ ჰარიმენი, სამუ მანოა, ტოდ კლეევერი, დერიკ ესბენი (ჯონ ქვილი 69), კემერონ დოულანი

**მარქაფა:** ზეკ ფენოლიო, ტიტი ლამოზიტელე, ინაკი ვასაური, შონ დევისი, შეიმას ქელი

**3 ლელო:** ვაილზი, სქალი, ვოლესი

**2 გარდასახვა:** სიდელი

**2 ჯარიმა:** სიდელი

მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი, საქართველოს ნაკრები ქულით წინ იო და ბურთსაც ფლობდა, საჭირო იყო მისი მცირე ხნით შენარჩუნება. ჩვენები ასეც მოიქცნენ, შემდეგ კვირიკაშვილმა ბურთი აუტში დაარტყა და როდესაც ყველა ქართველთა გამარჯვებას ელოდა, მსაჯმა მატჩის გაგრძელება ბრძანა. ამერიკელებმა საკუთარი დერეფანი მოიგეს, შეტევა წამოიწყეს, ჩვენები დაჯარიმდნენ და ადამ სიდელმა რთული პოზიციიდან გამარჯვების მომტანი ჯარიმა გაიტანა.

ამგვარად, ამერიკელებმა იმის საგაიერო გადაგვიხადეს, 3 წლის წინ ასევე ბოლო წამზე რომ დავამარცხეთ.

მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის ორ ნაწილად უნდა დაიყოს – დასაწყისი კარგი იყო, ასევე დასკვნითი ნაწილი, რომ არა ზემოთ ნახსენები ბოლო წამი. შუა ნაწილში ამერიკელები უკეთ ირჯებოდნენ და გარკვეული დროის მანძილზე ლიდერობდნენ კიდეც.

ქართველმა მორაგბეებმა ანგარიშის გახსნა მე-5 წუთზე მოახერხეს. მერაბ კვირიკაშვილმა საჯარიმო ზუსტად შეასრულა და საქართველოს ნაკრები დააწიანურა – 3:0.

10 წუთის შემდეგ კი კვირკაშვილმა ლელოს გატანაც შეძლო და გარდასახვაც ზუსტად შეასრულა და „ბორჯღალოსნებმა“ სერიოზული ჰანდიკაპი მიიღეს – 10:0.

ამან თითქოს მოადუნა ქართველები და ამერიკელებმა ორი ლელო გაგვიტანეს. ჯერ ამერიკელებმა კარგი პოზიციიდან ჯარიმა აუტში გადაიტანეს, რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ სიდელმა ბურთი ფეხით მარჯვენა ფლანგზე გადაკიდა, მაგრამ დარტყმა ოდნავ მაღალი იყო და ლელოს გადავრჩით. დერეფანი კი მოვიგეთ, მაგრამ ბურთი ვერ შევინარჩუნეთ და მეტოქემ შერკინება მიიღო, პირველი დარტყმის შეჩერება მოვახერხეთ, მაგრამ მერე ბურთი ფლანგამდე ჩათამაშდა და ორი მცველის მცდელობის მიუხედავად, კრის ვაილზმა ლელო ალამთან გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო. შემდეგ იმავე ვაილზმა თავის ნახევარზე გაჭრა ხაზი და ჩვენს 22-მდე ირბინა, სწრაფი იერიში მარჯვენა ფლანგზე გაგრძელდა, დაცვის ხაზმა დაწყობა ვერ მოასწრო და ბლეინ სქალმა ლელო გაიტანა. ამას ზუსტი გარდასახვა მოყვა. ამ ლელოებს შორის „მეკომ“ და სიდელმა ჯარიმები გაცვალეს და ტაიმი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – 15:13

მეორე ტაიმში „ბორჯღალოსნებმა“ მესამე ლელო მიიღეს – ნიკ ვოლესმა იოლად გაჭრა ხაზი, მისი შეჩერება ვერავინ მოახერხა, დაახლოებით 25 მეტრი ირბინა და ლელო ძელებსშუა გაიტანა, ხოლო სიდელმა გარდასახვა გამოიყენა და ანგარიშში სხვაობა სოლიდური გახდა – 13:22.

ქართველმა მორაგბეებმა ამის შემდეგ დაიწყეს მოგებაზე ფიქრი და ეს თითქმის გამოუვიდათ. დერეფანი მამუკა გორგოძემ მოიგო, ბეგაძემ ბურთი ხმალაძეს გადააწოდა, რომელმაც სიჩქარეაკრეფილ მერაბ შარიქაძეს პასი არ დაუგვიანა და ხაზიც გაიჭრა. მეტოქის 22-ში საქმეში ჯერ თამაზ მჭედლიძე ჩაერთო, მას დავით კაჭარავა მიჰყვა და ის ზედხაზთან შეაჩერეს, მაგრამ რაქიდან სწრაფად გამოვიდა ბურთი და შარიქაძემ თავისივე დაწყებული იერიში ლელოთი დააგვირგვინა, მერაბ კვირიკაშვილმა კი გარდასახვა გაიტანა – 20:22.

შეხვედრის დასრულებიდან 5 წუთით ადრე კვირიკაშვილმა საჯარიმო დარტყმით უკვე წინ გაიყვანა საქართველოს ნაკრები, რის შემდეგ 5 წუთი თავს კარგად ვიცავდით, მატჩიც უკვე ყველას მოგებული ეგონა, მაგრამ...

**მატჩის შემდეგ**

**მაიკ თოლქინი, აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ზუსტად ისეთი თამაში იყო, როგორსაც ველოდით. საქართველოს ნაკრები ფიზიკურად ძლიერი გუნდია და მათ მთელი 80 წუთი დიდი ბრძოლა გაგვიმართეს. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენც არ გავჩერდით და ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. სამი წლის წინ თბილისში ბოლო წამზე დავმარცხდით, ახლა კი, ასევე ბოლო წამზე ჩვენ მოვიგეთ. საქართველოს ნაკრები უზარმაზარ პატივისცემას იმსახურებს.

**ტოდ კლეევერი, აშშ-ს ნაკრების კაპიტანი:**

– საქართველო რაგბის ქვეყანაა და თქვენი გუნდი ყოველთვის გულით თამაშობს. ამ თამაშში ძალიან ბევრი მორაგბე დაგვემტრვა და ალბათ, ისინი მომდევნო თამაშში დაგვაკლდებიან. ჩვენ სწორ გადაწყვეტილებებს ვიღებდით და თამაშიც ამან მოგვაგებინა. მოხიბლული ვარ ტრიბუნაზე შექმნილი ატმოსფეროთი. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მსგავსი მასპინძლობა სხვაგან არსად გვინახავს და ამისათვის მადლობას ვუხდი საქართველოს რაგბის კავშირს. თქვენ საუკეთესო გულშემატკივრები და საუკეთესო მასპინძლები ხართ.

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– გადაწყვეტილებებს მორაგბეები მინდორზე იღებენ და რადგან ტაბლოზე დრო ამოწურული იყო, კვირიკაშვილმა ბურთის აუტში გადაგდება გადაწყვიტა. ვფიქრობ, საკმარისი გავაკეთეთ ამ თამაშის მოსაგებად და უბრალოდ არ გაგვიმართლა. მამუკა გორგოძემ შესანიშნავად გაართვა კაპიტნისთვის დაკისრებულ მოვალეობას თავი და მარცხზე პასუხისმგებლობას სრულიად ჩემს თავზე ვიღებ. მოედანზე იყო მოწინააღმდეგე, რომელსაც ჩვენსავით უნდოდა მოგება და გარდატეხებიც ამის ბრალი იყო. სამოას ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და ტექნიკურ რაგბის თამაშობს, მაგრამ დაველოდოთ საფინალო სასტვენს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და თუ ივნისში არგენტინასთან გვქონდა მოგების შანსი, ვფიქრობ, მიზნის მიღწევა აქაც შეგვეძლება. რაც მთავარია, უმაღლესი დონის გუნდების წინააღმდეგ თამაში თავდაჯერებულობას შეგვმატებს.

**მამუკა გორგოძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

– მართალია კანადის ნაკრები უფრო სწრაფ რაგბს თამაშობს ვიდრე აშშ, მაგრამ ამ შეხვედრაში ბოჭვები გაგვიფუჭდა და მარცხიც ამან განაპირობა. სწორედ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების გამო მივიღეთ სამი ლელო. თამაშის მსვლელობისას ჩავარდნები გვქონდა, თუმცა ვფიქრობ საერთო ჯამში ცუდად არ გვითამაშია. თამაშს ყველა ერთად ვიგებთ და ახლაც ერთად წავაგეთ, ასე რომ, რომელიმე კონკრეტულ მორაგბეს ნურაფერს დავაბრალებთ.

# საქართველო გრან პრის უმასპინძლებს

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და სპორტული ორგანიზაცია სპორტ აკორდის პრეზიდენტი, მარიუს ვიზერი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ვიზერი საქართველოს პრემიერ-მინისტრ, ბიძინა ივანიშვილს ბიზნესცენტრში შეხვდა, მოგვიანებით კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ესტუმრა და მინისტრ ლევან ყიფიანთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

მინისტრის და მარიუს ვიზერის პრესკონფერენციას ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი, მოქმედი და ვეტერანი ძიუდოისტები დაესწრნენ.

პრესკონფერენციის მსვლელობის დროს მხარეებს შორის გაფორმდა ორი ხელშეკრულება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციასა და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას შორის. მემორანდუმს ხელი ლევან ყიფიანმა, მარიუს ვიზერმა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, დავით ქევხიშვილმა მოაწერეს.

პირველი მემორანდუმი მოიცავს თბილისის საერთაშორისო ტურნირისათვის გრან პრის სტატუსის მინიჭებას, ხოლო მეორე მემორანდუმი ეხება სკოლებში ძიუდოს სწავლების პროექტის ხელშეწყობასა და განვითარებას. თბილისის საერთაშორისო ტურნირი გრან პრის სტატუსის მინიჭების შემდეგ იანვრის ნაცვლად მარტში ჩატარდება. გრან პრის გამართვის ზუსტი თარიღი უახლოეს დღეებში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციაში უნდა დაზუსტდეს.

მეორე მემორანდუმში აღნიშნული პროექტის მიხედვით ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია საქართველოს რეგიონებს ძიუდოს ინვენტარით მოამარაგებს, ხოლო რეგიონებში მომუშავე მწვრთნელებს 1 წლის მანძილზე ყოველთვიური ხელფასი დაენიშნებათ.

პრესკონფერენციის მსვლელობისას მარიუს ვიზერმა ქართული ძიუდოს დამსახურებებსა და მიღწევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო მისი ტრადიციებისა და შედეგების გათვალისწინებით ნამდვილად იმსახურებს გრან პრის სტატუსის მქონე საერთაშორისო ტურნირს, სადაც მსოფლიო დონის ძიუდოისტები მიიღებენ მონაწილეობას. მემორანდუმების გაფორმების შემდეგ, ვიზერმა ძიუდოს მხარდაჭერისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ლევან ყიფიანს და მინისტრი ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური პრიზით დაჯილდოვა.

**მარიუს ვიზერი:**

– მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. შევხვდით პრემიერ-მინისტრს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებს და ვხედავთ თუ როგორი დიდი ინტერესი არსებობს ძიუდოს მიმართ თქვენს ქვეყანაში. საქართველოს ძიუდოში მართლაც განსაკუთრებული მიღწევები აქვს და ვფიქრობ იმ ყოველივეს გათვალისწინებით რაც ბოლო პერიოდში ქართულ ძიუდოში ვხედავთ, თქვენი ქვეყანა ნამდვილად იმსახურებს უმაღლესი დონის ტურნირის – გრან პრის მასპინძლობას. მსურს აღვნიშნო, რომ თქვენ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ძიუდოს სკოლა გაქვთ და ამას ქართველი სპორტსმენების მიერ საერთაშორისო არენაზე ნაჩვენები მაღალი შედეგებიც ადასტურებს. კარგია, რომ ქვეყანაში ძიუდო პროგრესირებას განაგრძობს.

თბილისის გრან პრის ჩატარების ზუსტი თარიღი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, მას შემდეგ რაც საერთაშორისო ფედერაცია სხვადასხვა საორგანიზაციო დეტალებს შეათანხმებს. სავარაუდო პერიოდად ჩვენ მარტის პირველ ან მესამე კვირას განვიხილავთ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ძიუდოს ნამდვილი ზეიმი შედგება და საქართველოს დედაქალაქში მსოფლიო დონის ძიუდოისტები მოიყრიან თავს.

ასევე მსურს განსაკუთრებით აღვნიშნო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის განსაკუთრებული მონდომება და ძიუდოს მიმართ დიდი ინტერესი. მართლაც განცვიფრებული ვარ მინისტრის პროფესიონალური ცოდნით ძიუდოში მიმდინარე თემების მიმართ, რაც მართლაც მისასალმებელი და დასაფასებელია. ჩვენ ერთმანეთს ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის დროსაც შევხვდით, სადაც ლევან ყიფიანი იმყოფებოდა არა როგორც უბრალოდ დამკვირვებელი ოფიციალური პირის სახით, არამედ როგორც ძიუდოს ნამდვილი გულშემატკივარი და სპორტის ამ სახეობის მცოდნე პროფესიონალი.

მარიუს ვიზერი ასევე შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ირაკლი ღარიბაშვილს.

# ილია კოკაიამ ზესტაფონი დატოვა და ფული ახალ წლამდე დაუტოვა

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა თავისი ულტიმატუმის პირობა შეასრულა. გეხსომებათ, ილია კოკაიამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას გადადგომისკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად დატოვებდა ქართულ ფეხბურთს. ვადა 3-დღიანი იყო. სიჭინავას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია და არც გადამდგარა. ცხადია, კოკაიას სხვა გზა არ დარჩენოდა და თავად წავიდა.

**ილია კოკაია:**

– როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე მე ვისაუბრე ქართულ საფეხბურთო ოჯახში შექმნილ პრობლემებზე და ამ პრობლემების წარმოქმნის მიზეზებზე, სადაც არადამაკმაყოფილებლად შევაფასე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა და მიუღებლად მივიჩნიე საფეხბურთო ოჯახის სათავეში რეალური ძალის არმქონე პრეზიდენტის ყოფნა, რომლის უნიათო საქმიანობის მწვერვალი გახლდათ ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული სტრუქტურის მიერ მიღებული ამასწინანდელი გადაწყვეტილება, რომელმაც პირდაპირი დარტყმის ქვეშ დააყენა თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს მოწყობის ისეთი ქვაკუთხედი, რასაც საკონტრაქტო სისტემა წარმოადგენს.

ჩემი ღრმა რწმენით, ფედერაცია დღეისათვის არა ფეხბურთის მსახურების სახლად, არამედ ვიწრო, პირადი და ხშირ შემთხვევაში მერკანტილური ინტერესების რეალიზების საშუალებად იქცა.

აქტუალურია საფეხბურთო კლუბების არათანაბარი დაფინანსების ძალიან მტკივნეული თემა. მაშინ, როდესაც საფეხბურთო ოჯახი სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწევის ყოვლისმომცველი და სამართლიანი დახმარების მოლოდინშია, საფეხბურთო კლუბის ბედი ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია კონკრეტულ რაიონსა თუ რეგიონში მოქმედი ჩინოვნიკის სიმპათია-ანტიპათიაზე და მის ურთიერთობაზე სამთავრობო სტრუქტურებთან. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ქართული ფეხბურთის წინაშე არსებული მრავალი, მათ შორის, გარიგებული მატჩებისა და სხვადასხვა მაქინაციების პრობლემების სათავე. ფედერაციამ ფეხბურთის წინაშე არსებული პრობლემები ვერც სახელმწიფოსთან მოაგვარა.

შექმნილი სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, მე ვურჩიე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ქართული ფეხბურთისათვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევის მიზნით, თავისივე სურვილით დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. მისი მხრიდან ამ რჩევის არგამოყენების შემთხვევაში, დავიტოვე უფლება თავად წავსულიყავი კლუბიდან.

აქედან გამომდინარე, ვსარგებლობ რამდენიმე დღის წინ გაჟღერებული უფლებით და გაუწყებთ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩემი გადადგომისა და კლუბიდან წასვლის შესახებ.

აქვე მინდა ვუთხრა ჩვენი გუნდის გულშემატკივარს, რომ ვრჩები საკუთარი სიტყვისა და პირობის ერთგული – თანამდებობიდან წასვლამდე ვამტკიცებ კლუბის ბიუჯეტს, რაც უზრუნველყოფს გუნდის შეუფერხებელ ფუნქციონირებას მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მართვის ფუნქციას დღეიდან კლუბის მენეჯმენტი განახორციელებს.

რაც შეეხება კლუბის შემდგომ ბედს, ის, როგორც ეს ჯერ კიდევ ზაფხულში იქნა გაცხადებული, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საკუთარ თავზე აღებული და საჯაროდ გაჟღერებული თანადგომის ვალდებულებების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. ეს საკითხი კლუბის მენეჯმენტთან დამატებითი განხილვის საგანი გახდება.

საჯაროდ ვაცხადებ იმის თაობაზე, რომ არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დღეიდან აღარ მივიჩნევ საფეხბურთო ცხოვრების მარეგულირებელ ინსტანციად. აქვე გეტყვით, რომ კლუბიდან წასვლის მიუხედავად, ჩემს მიზანს სულაც არ წარმოადგენს ფეხბურთიდან წასვლა და საფეხბურთო ცხოვრებიდან განზე დგომა.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ქართულ ფეხბურთში მეგულება ძალიან ბევრი წესიერი და ამავე დროს კომპეტენტური ადამიანი, რომელთაც აწუხებთ და სტკივათ სადღეისოდ არსებული მდგომარეობა. გაძლევთ პირობას, რომ აქტიურ მონაწილეობას მივიღებ ჯანსაღ ძალთა გაერთიანებისა და კონსოლიდაციის საქმეში, რათა საერთო ძალისხმევით ქართულ საფეხბურთო ოჯახში ერთხელ და სამუდამოდ წესრიგი დამყარდეს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი კლუბის ყველა გულშემატკივარს, როგორც ზესტაფონში, ასევე მთელ საქართველოში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ! მეამაყება, რომ უამრავი ადამიანისთვის „ზესტაფონი“ გახდა ერთგვარი სიმბოლო ფეხბურთის კეთილსინდისიერი მსახურების და საქმის სუფთა ხელებით კეთებისა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ბრაზილია. სერია ა**

ბოტაფოგო-ატლეტიკო(პ) ..... 4:0

**არგენტინა. პირველი დივიზიონი**

ოლ ბოიზი-ლანუსი ..... 2:3

გოდოი-ესტუდიანტესი ..... 2:1

ქილმესი-რასინგი ..... 1:1

სან ლორენცო-ბელგრანო ..... 4:2

**კალათბურთი**

**ნბა. ჩეგეულარული სეზონი**

ვაშინგტონი-კლივლენდი .. 96:103(ოტ)

ორლანდო-დალასი ..... 100:108

შარლოტი-მაიამი ..... 81:97

ნიუ იორკი-ატლანტა ..... 90:110

მინესოტა-ბოსტონი ..... 106:88

ნიუ ორლეანი-ფილადელფია ... 135:98

ჰიუსტონი-დენვერი ..... 122:111

ჩიკაგო-ინდიანა ..... 110:94

მილუოკი-ოკლაჰომა ..... 79:92

**ზაზა ფაჩულია: 7 ქულა, 13 მოხსნა**

გოლდენ სტეიტი-იუტა ..... 102:88

კლიპერსი-ბრუკლინი ..... 110:103

**ჰოკეი**

**ნჰლ. ჩეგეულარული სეზონი**

მონრეალი-რეინჯერსი ..... 0:1

ნიუ ჯერსი-პიტსბურგი ..... 4:1

იალენდერსი-დეტროიტი ..... 4:4(1:0ბ)

ტორონტო-ბუფალო ..... 4:2

ნეშვილი-ციკაგო ..... 7:2

სენტ ლუისი-კაროლინა ..... 4:2

ფინიქსი-ტამპა ბეი ..... 6:3

კოლორადო-ფლორიდა ..... 1:4

კალგარი-ედმონტონი ..... 2:4

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

# ახმეტელის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის მუნიციპალურ დრამატულ თეატრში პრემიერაა. რეჟისორმა გოგა თავაძემ თანამედროვე ფრანგი მწერლის ერიკ ემანუელ შმიტის პიესა „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ წარმოადგინა.

ეს არის ამბავი კომაში მყოფი ადამიანებისა, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებიან. სასტუმრო მისტიკური ადგილია, სადაც ადამიანებს ზღვრულ სიტუაციაში საკუთარი თავის შეცნობის საშუალება ეძლევათ. პიესა წარმატებით სარგებლობს ევროპულ თეატრებში, ბესტსელერების ავტორის ერიკ ემანუელ შმიტის პოპულარობა კი მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება.

რეჟისორი გიორგი თავაძე 2013 წელს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ დასახელდა წლის საუკეთესო რეჟისორად ახმეტელის თეატრში განხორციელებული დადგმისთვის „მაგიის საოცრებანი“. მხატვარი ანა კალატოზიშვილი 2013

წელს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ დასახელდა წლის საუკეთესო სცენოგრაფად და მოიპოვა ქართულ „თეატრალურ ოსკარად“ წოდებული პრემია „დურუჯი“ ახმეტელის თეატრში განხორციელებული დადგმისთვის „მაგიის საოცრებანი“. ახალ სპექტაკლში მონაწილეებენ ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ბექნუ ქაფიანიძე, ნინო ანდრიაძე, გაგა მახათაძე, თაკო აზნარაშვილი.

ეს არ არის პირველი სპექტაკლი, რომელიც გოგი თავაძემ ახმეტელის თეატრში დადგა. ის იმედს იტოვებს, რომ მისი და ახმეტელის თეატრის თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

**გოგა თავაძე:**

– სპექტაკლი ჯერ მხოლოდ რამდენჯერმე ვითამაშეთ, მაგრამ არ იყო ცუდი.

*– რატომ მაინცდამაინც ერიკ ემანუელ შმიტი?*

– ცოტა რთული ასახსნელია, რატომ აჩერებს რეჟისორი არჩევანს ამა თუ იმ პიესაზე. შინაგანი კარდიოგრამა, მუსიკა აქვს ამ პიესას ისეთი, რომელიც ამ ეტაპზე ახმეტელის თეატრისთვის მომეჩვენა შესაფერისად დასადგმელად. ამიტომაც მშიტი. საინტერესო პიესაა, თან მწერალია საკმოად პოპულარული. ღრმააზროვანი მწერალია შმიტი, რაღაც თვალსაზრისით შეზავებული აქვს თავისი პიესები იუმორით და სენტიმენტალობით და თითქოს ყველანაირ მაყურებელზეა გათვლილი, ამიტომ ამ თვალსაზრისითაც საკმაოდ საინტერესო მეჩვენა. რომ გითხრათ, რომ ეს არის ჩემი პიესა, ანუ ყოველთვის ასეთი პიესისკენ ვილტვოდი, არ არის მართალი. შეიძლება არც ერთი პიესა არ არის ისეთი, რომ ჩემი ვუწოდო, მაგრამ რეჟისორი იმიტომ ვარ, რომ ჩემი უნდა გავხადო. გარკვეულწილად ჩემი ისტორია უნდა მოვყვე, არა ბიოგრაფიული მაინცდამაინც, ღმერთმა დამიფაროს ის შემემთხვას, რაც ამ პიესაშია, მაგრამ გარკვეულწილად რეჟისორი სპექტაკლში შენს ისტორიას ყვები. მიმაჩნია, რომ რეჟისორმა ყველა სპექტაკლით თავისი სათქმელი უნდა თქვას.

*– მანამდე იყო აკუტაგავა, ყოველთვის ასეთ პოპულარულ ხელოვანებს ირჩევთ?*

– აკუტაგავას და შმიტს შეიძლება ერთადერთი ის ჰქონდეთ საერთო, რომ ირეალურის ელემენტი არსებობს მათ პიესები.

*– ეს გხიბლავთ?*

– დიახ. როცა ნაწარმოებში რაღაც ირეალურია, ეს უფრო მაპროვოცირებს იმისკენ, რომ დავდგა სპექტაკლი. უფრო თავისუფლად ვდგამ სპექტაკლს.

*– აკუტაგავას დადგმისთვის საუკეთესო რეჟისორი გახდით. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?*

– ნებისმიერი წახალისება და ჯილდო ყველასთვის საჭიროა. ამით საკუთარ თავში კიდევ უფრო რწმუნდები. ცოტა მშურს იმ ადამიანების და რეჟისორების, რომლებსაც არანაირი პრიზი არ სჭირდებათ იმისთვის, რომ იყვნენ სურვილით შეპყრობილები, დადგან სპექტაკლები. ამ შემთხვევაში, მე უფრო სუსტი აღმოვჩნდი.

*– თქვენთვის ჯილდო აუცილებელია, რომ იმუშავოთ?*

– აქ მარტო რეჟისორზე არ არის ლაპარაკი, ზოგადად ადამიანებზე ვთქვი. ყველას უხარია ჯილდო და პრიზი. შეიძლება არსებობენ უკვე იმ განზომილებაში მყოფი რეჟისორები, ვისთვისაც სულ ერთია პრიზს მისცემენ, არ მისცემენ, აღიარებენ, არ აღიარებენ, მათ არ შეუძლიათ, რომ არ დადგან. ამ კატეგორიას მთლად ვერ განვეკუთვნები.

*– როგორ მიიღო მაყურებელმა თქვენი ახალი სპექტაკლი?*

– დარბაზი სპექტაკლის მიმართ არ იყო გულგრილი და ის დაძაბულობის ხარისხი, რაც სცენისა და დარბაზის ერთიანობას მოსდევს, ნამდვილად იგრძნობოდა.

*– გაიგო მაყურებელმა რისი თქმა გსურდათ?*

– შეიძლება გაიგო, შეიძლება ვერ გაიგო, შეიძლება იგრძნო უბრალოდ და ვერ გაიგო, ან გაიგო და ვერ იგრძნო. არ ვიცი ასე ზუსტად, მაყურებელს ზოგადად ჭრელი დამოკიდებულება აქვს ნებისმიერი სპექტაკლის მიმართ, ამიტომ მათ მაგივრად საუბარი რთულია.

*– სპექტაკლში მხოლოდ ახმეტელის თეატრის მსახიობები დააკავეთ?*

– ძირითადად ახმეტელის თეატრის მსახიობები არიან ამ სპექტაკლში. მოწვეული იყო მხოლოდ ნინო ანდრიაძე, ძალიან ნიჭიერი მსახიობი მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან. ნუგზარ ყურაშვილი და აკაკი ხიდაშელი მაყურებლისთვის კარგად არის ცნობილი, სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ ბექნუ ქაფიანიძე, გვანცა კანდელაკი, ანა მატუაშვილი და ორი ახალგაზრდა მსახიობი გაგა მახათაძე და თაკო აზნარაშვილი. ეს ორი ადამიანი უსიტყვო როლებს თამაშობს. მთლიანობაში თითოეულმა მსახიობმა თავისი ხიბლი შეიტანა სპექტაკლში, ზოგმა თავისი ოსტატობის ხარჯზე, ზოგმა ნიჭიერებით, ზოგმა გამოცდილებით, მოკლედ, ვინც რითი შეძლო.

*– მარტო ახმეტელის თეატრში მუშაობთ?*

– ამჟამად მხოლოდ ახმეტელის თეატრში დავდგი სპექტაკლი, თუმცა სოხუმის თეატრში სამი სპექტაკლი მაქვს დადგმული.

*– სხვა თეატრებშიც აპირებთ მუშაობას?*

– ჩანაფიქრი მაქვს, მაგრამ სანამ რეალურად არ დაიწყება მუშაობა, ამის თქმას აზრი არ აქვს.

გოგა თავაძის მიერ დადგმული სპექტაკლის „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ საპრემიერო ჩვენება 22 და 23 ნოემბერსაც გაიმართება.

# ნიაზ დიასამიძე წმინდა გიორგის ორდენის მფლობელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბი, – აღნიშნულია განცხადებაში.

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი გადაეცა სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“-ს ყოფილ დირექტორს რევაზ ჭარბაძეს. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ, ასევე, ამერიკელი გენერალი დევიდ პეტრეუსი და ადმირალი ჯეიმს სტავრიდისი.

ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ იტალიის რესპუბლიკის ბირთვული ნაციონალური ენერგიის ცენტრის „სერნის“ ექსპერიმენტატორი, ფიზიკოსი თეიმურაზ ლომთაძე, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი სოფიო მოსიძე და საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის გენერალური პროდიუსერი დონარა (დოდო) შონავა. ღირსების ორდენის მფლობელი გახდა შალვა რამიშვილის ცოლი ხატია ეკიზაშვილიც. იგი „სუხიშვილების“ პიარმენეჯერია. ხატიას ღირსების ორდენი ანსამბლ „სუხიშვილების“ განვითარებისათვის შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა. მასთან ერთად ორდენი ანსამბლის ექვსმა წევრმაც მიიღო.

რუსთაველის პრემია სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ქართველ მომღერალს, პედაგოგსა და ქართველთა მიერ „საქართველოს ხმად“ აღიარებულ ჰამლეტ გონაშვილს.

თამარ მეფის ორდენებით დაჯილდოვდნენ ტელეკომპანიის ტევე-3-ის ტოქშოუ „დიდი პოლიტიკის“ ავტორი და წამყვანი ინგა გრიგოლია, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ტოქშოუ „პოზიციის“ ავტორი და წამყვანი ნინო შუბლაძე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ტოქშოუ „პროფილის“ ავტორი და წამყვანი მაია ასათიანი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გასართობი ტოქშოუ „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“ ავტორი და წამყვანი ნანა ჟორჟოლიანი. ამავე პრიზის მფლობელი გახდა ცნობილი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი, რომლის კლიპის გადაღებების გამოც, ავლაბარში მდებარე პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე ერთი დღით სახელმწიფო დროშა გულებიანი დროშით შეიცვალა. ინტერნეტსივრცეში უკვე გამოჩნდა ქართველი პიანისტის ახალი კლიპი, რომელშიც ასახულია მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდის სხვადასხვა მომენტები.

წმინდა ნიკოლოზის ორდენები გადაეცათ „თი-ბი-სი“ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მამუკა ხაზარაძეს, ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ელგუჯა გოცირიძეს. ეს ჯილდოები გადაეცათ ასევე სასულიერო პირებს დეკანოზ მიქაელს (მაჟარა ასათიანი), ბათუმის, ლაზეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტს, მეუფე დიმიტრის, საქართველოს ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსს მალხაზ სონღულაშვილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის მიტროპოლიტს, მეუფე აბრამს (ამირან გარმელია).

ოქროს საწმისის ორდენით დაჯილდოვდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი.

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენები გადაეცათ დსთ-ის სახელმწიფოთა ლიდერებს.

# როგორ აღინიშნება გოდერძი ჩოხელის იუბილე?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იყვნენ აქტიურად ჩართულები. რამდენიმე პედაგოგი კი იყო, მაგრამ თითქოს ახალგაზრდობას არ აინტერესებს მსგავსი არაფერი. რეგიონებში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა. ძალიან დათრგუნულები არიან რეგიონებში მაცხოვრებლები.

ერთი პედაგოგი იყო მოსული ამ შეხვედრაზე, რომელიც ასწავლის ქართულს აზერბაიჯანელებს და თათრებს და თქვა, გაკვეთილს ვერ გავაცდენდიო. საგარეჯოსთან კი ახლოს არის ის სოფელი, მაგრამ ტრანსპორტი არ დადისო და რომ გამოვედი, ვამბობდი, გოდერძის სულ შევთხოვდი, გთხოვ, თუ საჭირო არის, იქნებ რამე გამომიჩინოო. ამ დროს გამოიარა მანქანამ და ვკითხე, სად მიდიხართო და აღმოჩნდა, რომ ისინიც საგარეჯოში მოდიოდნენო. ასე ჩამოვიდა ის ქალი ამ შეხვედრაზე. ისეთი ბედნიერი იყო, გოდერძის სული დამეხმარა იმაში, რომ ამ საღამოზე მოვსულიყავიო. ერთ-ერთმა პედაგოგმა ისიც თქვა, ჩვენ ვატარებთ შიდა კონფერენციებს, გოდერძის შემოქმედებაზე თემებს ვწერთ და მერე მათი განხილვა მიდისო. ესეც ძალიან საინტერესოა. ვიცი, რომ კვირეულებსაც აკეთებენ სხვადასხვა სკოლებში და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას ეძღვნება ლექსების კითხვა, განხილვა და მსჯელობა.

*– კიდევ სად გეგმავთ წასვლას?*

– კერძო სკოლაში მივდივართ. ეს სკოლა თბილისშია და დაგვპატიჟეს. თვის ბოლოს მიგვიწვიეს. ძალიან მიხარია, როცა სკოლაში მივდივარ. ბავშვებთან სულ სხვაა ურთიერთობა, მათ რომ დააინტერესებ, ეს არის ყველაზე მთავარი.

*– როგორ ემზადებით გოდერძი ჩოხელის იუბილესთვის?*

– მისი იუბილე 2014 წელს არის. მას 60 წელი შეუსრულდებოდა. მაია წიკლაურს აქვს ორი წიგნი გაკეთებული გოდერძიზე, უფრო მეცნიერული, სიღრმისეული კვლევა და განხილვაა. მან მითხრა, რომ აპირებს ძალიან საინტერესო პროექტის განხორციელებას, თუმცა დეტალები არც მე ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ სამწლიანი პროექტია და გაწერილი აქვთ ყველაფერი. მგონია, რომ თარგმანზეც არის ლაპარაკი, ფილმების აღდგენაზეც, მაგრამ ისინი ასაბუთებენ, ეს რატომ უნდა გაკეთდეს. სხვანაირი სიყვარულია გოდერძის მიმართ, ამას ყოველთვის ვგრძნობ და ბედნიერი ვარ.

ამაზე ვსაუბრობდი მარიამ წიკლაურთანაც, ვიკითხე, როგორ ხდება ამ იუბილეების ორგანიზება. ალბათ კულტურის სამინისტროს თუ თვითონ არ მიაწოდე იდეა, თვითონ არც ფიქრობენ. მწერალთა კავშირი კი მგონია, რომ საერთოდ აღარ არსებობს. მაყვალა გონაშვილს რომ ვნახავ, პირადადაც ვეტყვი, რომ მეტი აქტიურობაა საჭირო. გოდერძი ბოლომდე იყო ამ კავშირში იმის ხათრით, რომ ძველი მწერალთა კავშირი იყო და ვითომ არ დაშლილიყო. მაყვლა გოდერძის თაობის არის, მისი მეგობარი იყო, მაგრამ აბსოლუტურად არაფერი ინიციატივა არ იგრძნობა. სწორედ მწერალთა კავშირს ევალება, რომ ასეთ საიუბილეო ღონისძიებების მიმართ ინიციატივა გამოიჩინონ. მაინტერესებს, ვინ უნდა წარადგინოს იდეა კულტურის სამინისტროში ამ იუბილესთან დაკავშირებით, საინიციატივო ჯგუფმა ალბათ. შეიძლება სულ სხვა საინიციატივო ჯგუფიც გაკეთდეს მიხო მოსულიშვილის, დათო ტურაშვილის, მარიამ წიკლაურის, ტარიელ ხარხელაურის შემადგენლობით, რომლებიც პროექტს წარადგენენ სამინისტროში. მიხო ძალიან მომართული და მონდომებულია. მან ისეთი უნიკალური წიგნი გააკეთა, გაოგნებულია საზოგადოება. მიხოს იდეებიც საკმაოდ კარგი აქვს და მჯერა, მათ განხორციელებასაც შეძლებს.

პომპეზური იუბილე საერთოდ არ მინდა, სურვილი მაქვს განათლების სამინისტროც ჩაერთოს, რომ ამ იუბილემ მიიღოს კვირეულის სახე და ჩატარდეს საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებები. კულტურის სამინისტროც იყოს ჩართული, რომ დაბადების დღე სხვანაირად აღინიშნოს, ალბათ ჩოხში ჩატარდება. ალბათ ან მწერალთა კავშირმა უნდა წარადგინოს ინიციატივა ან კინემატოგრაფისტთა კავშირმა. რომ ვიკითხე, მითხრეს, რომ შეიძლება მწერლების ჯგუფმა წარადგინოს ან რეჟისორთა ჯგუფმაო. მინდა თადარიგი წინასწარ დავიჭიროთ, რომ მერე კულტურის სამინისტრომ და გამგეობამ არ თქვას, რომ თანხები უკვე გავწერეთ, თქვენი იუბილესთვის გათვალისწინებული არ გვქონდა და თანხები უკვე განაწილებულიაო.

*– თვითონ თუ უყვარდა იუბილეები?*

– არა. 50-ის რომ გახდა, ეხვეწებოდნენ, მაგრამ უარს ამბობდა, კი ვერ იყო უკვე კარგად, დეპრესია ჰქონდა, მაგრამ გივი, კახი და რამაზი ეხვეწებოდნენ, გავაკეთოთ რამე საღამოო. გაგიჟდა, რას ამბობთ, საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, ისეთ ადამიანებს არ უკეთებენ იუბილეებს, მე უნდა გადამიხადოთ იუბილეო? არავითარ შემთხვევაში არ დაგთანხმდებითო. 50 წლის იუბილეზე კი თქვა უარი, მაგრამ რადგან ხალხისგან არის მისადმი სიყვარული, იქნებ მისი 60 წლის იუბილე მაინც აღინიშნოს. მამაოებმაც მითხრეს, ჩვენ განათლების სამინისტროს დაველაპარაკებით, იქნებ წარვადგინოთ პროექტი და მისი განხორციელება შესაძლებელი გახდესო.

# სჯანგოხდი



1. რეზო გაბრიაძის თეატრის სპექტაკლი; 2. ქალბატონი (გერმანულად); 3. იუპიტერის თანამგზავრი; 4. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 5. ღირებულება; 6. ... ზოლა; 7. პარკოსანი მცენარე; 8. ... -კლარჯეთი; 9. გმადლობთ (ფრანგულად); 10. ომის უკუსიდიდე; 11. კაენის მსხვერპლი; 12. ბალეტის მოცეკვავე ქალი; 13. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 14. რისამე დაწესებული რაოდენობა; 15. შვლის ნაშიერი; 16. თეთრი თხევადი საკვები; 17. ქვეყნის შეიარაღებული ძალები; 18. ... ჰეპბერნი; 19. ფარული, უხილავი; 20. საცალფეხო გზა; 21. სამუშაოს შესრულების უნარი; 22. მიწაში ამოთხრილი ადგილი; 23. კლავიშებიანი საკრავი; 24. ალკოჰოლიანი სასმელი; 25. ერთგვარი თუთიყუში; 26. ვერგილიუსის თხზულება; 27. ... ბოლდუინი; 28. მაღალი წიწვოვანი ხე; 29. ... კლინტონი; 30. მაუგლის მეგობარი ავაზა; 31. ბილიარდის ჯოხი; 32. კომში; 33. რიგი ფუნქციების მქონე რთული მანქანა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სურა; 2. ლიონი; 3. გუამი; 5. შაგალი; 6. ნაკაშიძე; 9. იქთიოლოგია; 10. საიათნოვა; 11. მანიფესტი; 14. ეტა; 16. არწივი; 18. ქაჯი.

**თარაზულად:** 1. სხალთა; 4. აფშერონი; 7. მოსტრა; 8. მურტალო; 12. ეთიკა; 13. ნესტლე; 15. ბაგები; 17. ბოი; 19. ექსკავატორი; 20. ღალია; 21. დისნეი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. კოალა; 5. მიფუნე; 6. იმელმანი; 8. ანტვერპენი; 10. გუვერნანტი; 11. პერგამონი; 14. სინუსი; 15. იგრიკა; 16. სარკე.

**თარაზულად:** 1. თერჯოლა; 4. კიმიგაიო; 7. ლიონი; 9. ფოლგა; 12. ვერსია; 13. ატაშე; 14. სონეტი; 17. ოპიუმი; 18. მანუსკრიპტი; 19. ბიბლისი; 20. ტეკილა.

# ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე პენსიონერი გახდა

### 65 წლის პრინცი ჩარლზი მოთმინებით ელოდება ტახტზე ასვლას

პრინც ჩარლზს 65 წელი შეუსრულდა. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ისე გავიდა პენსიაში, რომ ერთი დღეც არ უმუშავია. მას კვირაში 110 ევრო (175 დოლარი) ერგება. ამ თანხას პრინცი გაჭირვებულებს გადასცემს.

თავის დაბადების დღეს ჩარლზი ინდოეთში შეხვდა. აქედან ის გაემგზავრება კოლომბოში (შრი-ლანკა), სადაც პრინცი, ბრიტანულ ერთა თანამეგობრობის მთავრობების მეთაურების შეხვედრაზე, დედოფალს შეცვლის. თავად ელიზაბეტ მეორემ გადაწყვიტა ღონისძიება გამოეტოვებინა პირველად ბოლო 40 წლის მანძილზე.

ჩარლზი მემკვიდრე პრინცის სტატუსს 61 წელია ატარებს. ის ბრიტანეთის ტახტის ყველაზე ასაკოვანი მემკვიდრეა. ხოლო გამეფების შემთხვევაში ის რეკორდს დაამყარებს: ვილჰელმ მეოთხე 64 წლისა და 10 თვის ასაკში გახდა მეფე.

### პრინცი ჩარლზი 440-ევროიან პენსიას ითხოვს

პრინცმა ჩარლზმა, რომელსაც 65 წელი შეუსრულდა, სახელმწიფო პენსიის მიღებისთვის განცხადება მოამზადა, – წერს „ასოშეიეიდ პრესი“.

წყაროს ცნობით, პრინცის სახელმწიფო პენსია მიმართული იქნება ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ფონდში, რომელიც მოხუცებულ და უმწეო ადამიანებს ეხმარება. ჩარლზის პენსია შეადგენს 110 ევროს კვირაში – ეს არის მომატებული პენსია პრინცის სამეფო საზღვაო ძალებში სამსახურის გათვალისწინებით.

სააგენტო ირწმუნება, რომ ჩარლზი, რომელიც უელსის პრინცია, არ საჭიროებს საპენსიო დანაზოგს, რადგან მის დაქვემდებარებაში მყოფი კორნუელის საჰერცოგო, მას წელიწადში მილიონი ფუნტის შემოსავალს აძლევს.

მანამდე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთის ხაზინა გეგმავს პრინც ჩარლზის საკუთრების დაბეგვრა შეამოწმოს.

### პრინცი ჩარლზი და კამილა პარკერი იყრებიან?

ბრიტანეთის პრინც ჩარლზს მეუღლე ეყრება. კამილა პარკერ-ბოულზმა პრინცთან განქორწინება მისი სისუსტისა და სიზარმაცის გამო გადაწყვიტა.

მეფის ცოლობა და შესაბამისად, გვირგვინის ტარება კამილასთვის ყოველთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი მეუღლის სირბილე და მერყეობა ძალიან აღიზიანებს.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე ხნის წინ ელიზაბეტ მეორემ ტახტის მემკვიდრესთან დაკავშირებით მორიგი ცვლილებები განახორციელა. ახლა ტახტის მომდევნო პრეტენდენტი არა მისი ვაჟი ჩარლზი, არამედ შვილიშვილი უილიამია. ამგვარად, კამილას მეუღლე მეფობის შანსს სამუდამოდ კარგავს.

დედოფლის გადაწყვეტილებაში გასაოცარი არაფერია. ახალგაზრდა, განათლებული უილიამი ინგლისელებს ძალიან უყვართ, გარდაცვლილი პრინცესა დიანას ყოფილ მეუღლეს კი დიდად არ სწყალობენ.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ კამილა გააცოფა. მეუღლე სისუსტეში დაადანაშაულა და საკუთარი უფლებების დაცვა მოსთხოვა, თუმცა უშედეგო ბრძოლით რომ დაიღალა, განქორწინებაზე საბუთების შეტანა გადაწყვიტა. ეს ინფორმაცია გამოცემა „გლობს“ სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა ადამიანმა მიაწოდა.

ინფორმატორის თქმით, ოჯახური ცხოვრების მანძილზე კამილამ სასახლის ბევრი საიდუმლო გაიგო და ახლა დუმილისთვის მეუღლისგან 350 მლნ დოლარს ითხოვს.

### პრინც ჩარლზის 3 სკანდალი

ჩარლზი ტახტის მემკვიდრეთა სიას მაინც ლიდერობს. მას მისი უფროსი ვაჟი 31 წლის პრინცი ულიამი და სამი თვის პრინცი ჯორჯი მოსდევს.

ჩარლზი სკანდალებში არაერთხელ გახვეულა, გთავაზობთ 3 ყველაზე ხმაურიან სკანდალს.

### სკანდალი 1: პოლიტიკურ მოღვაწეებზე პრინცის გამონათქვამების პუბლიკაცია

2005 წელს გაზეთ „მეილ ოფ სანდეის“ ჟურნალისტებმა პრინც ჩარლზის დღიური მოიპოვეს. ასე გაჩნდა სენსაციური მასალა, რომელშიც დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის პოლიტიკურ მოღვაწეებზე ჩანაწერების

ნაწყვეტები იყო მოყვანილი. პრინცი საკმაოდ ღიად საუბრობდა მათზე.

### სკანდალი 2: დაქორწინებულ კამილა პარკერ-ბოულზთან ურთიერთობა

1989 წლის დეკემბერში ავსტრალიურმა ჟურნალმა „ნიუ აიდეამ“ პრინც ჩარლზისა და კამილა პარკერ-ბოულზის სატელეფონო ჩანაწერი გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ორივე ქორწინებაში იყვნენ, ისინი ტელეფონით ინტიმურ ურთიერთობებზე საუბრობდნენ.

### სკანდალი 3: ცოლისა და დედის კონფლიქტს გაექცა

წელს გაზაფხულში სამეფო ოჯახში დიდი არეულობა იყო. კონფლიქტის ინიციატორი პრინც ჩარლზის მეუღლე კამილა პარკერ-ბოულზი იყო. მან დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე საკუთარი გამონათქვამებით ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, მონარქი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჩარლზი შეუფერებლად მოიქცა. იმის მაგივრად, რომ მეუღლე დაერწმუნებინა, ბოდიში მოეხადა, მან ქვეყნიდან წასვლა ამჯობინა და შვეიცარიაში გაემგზავრა.

### ჩარლზ მაუნტბატენ-უინძორი

ჩარლზ ფილიპ ართურ ჯორჯ მაუნტბატენ-უინძორი დედოფალ ელისაბედ II-ისა და მისი მეუღლის ფილიპ მაუნტბატენის უფროსი ვაჟია.

ჩარლზი 16 სუვერენული სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრე პრინცია, თუმცა უპირველეს ყოვლისა, ის მოიხსენიება, როგორც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტახტის მემკვიდრედ. მას არ სურს (მიუხედავად ტრადიციისა) მემკვიდრეობით მიიღოს „ბრიტანეთის თანამეგობრობის მეთაურის“ ტიტული.

**პრინცი ჩარლზი ატარებს შემდეგ ტიტულებს:**

მისი სამეფო უდიდებულესობა უელსის პრინცი (1958) (შოტლანდიის გარეთ)

მისი სამეფო უდიდებულესობა როთსეის ჰერცოგი (მხოლოდ შოტლანდიაში)

კორნუოლის ჰერცოგი
ედინბურგის პრინცი
კარიკის ერლი
ჩესტერის ერლი
რენფრიუს ბარონი
კუნძულთა ბატონი
შოტლანდიის პრინცი და დიდი სტიუარდი.

# ჩინეთს კანონში ცვლილება შეაქვს

ჩინეთის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ შეამსუბუქებს კანონს, რომელიც უკვე ათწლეულების მანძილზე ჩინეთის მოსახლეობას ერთ შვილზე მეტის ყოლას უკრძალავს და გააუქმებს შრომა-გასწორების კოლონიებს.

სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო სინხუას ინფორმაციით, წყვილს ორი შვილის ყოლის უფლება მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ მშობლებიდან ერთ-ერთი დედისერთა შვილია.

სინხუა ასევე აცხადებს, რომ ჩინეთში დაიხურება შრომა-გასწორების კოლონიები, რომლებშიც პოლიციის მიერ ბრალდებული ადამიანი სასამართლო განაჩენის გარეშე შესაძლოა წლების მანძილზე გაეგზავნათ.

ცნობილი რუსი ტელეწამყვანი ქსენია სობჩაკი ფეისბუქის გვერდზე წერს:

„ახლა კი ჩვენი საქმე ნამდვილად ცუდად არის: ჩინეთის ხელისუფლებამ საკუთარ მოქალაქეებს ერთ ბავშვზე მეტის ყოლის უფლება მისცა“.

ერთი შვილის პოლიტიკა, რომელიც ჩინეთის მოსახლეობის ზრდის შესაჩერებლად იყო მიღებული, ხშირად კრიტიკას ვერ უძლებდა. ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ კანონი დარტყმას აყენებდა ქვეყნის ხანდაზმულ მოსახლეობას, რომლებიც, როგორც წესი, სიბერეში შვილების იმედად არიან. დემოგრაფიული პოლიტიკის შეცვლას ჩინეთში გარღვევას უწოდებენ.

ერთ ოჯახზე ერთი შვილის პოლიტიკა ჩინეთში, 1970-იან წლებში იქნა მიღებული.

ჩინეთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში.

მოსახლეობა: 1.321.451 ათასი (2007), მათ შორის – ჩინელები – 92%. ეროვნული უმცირესობებია ტიბეტელები, უიღურები, ჩუანგები და მონღოლები.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

კულტურა

# დოკუმენტური კინოს ფესტივალი საქართველოში მოგზაურობს

ეკა ირემაშვილი

დოკუმენტური კინოს ფესტივალი „სინედოკ თბილისი“ დედაქალაქში ჩატარების ეშმდეგ, მოგზაურობას საქართველოს რეგიონებში იწყებს. თბილისის შემდეგ ფესტივალი თელავში ჩავიდა, სადაც თელავის განახლებულ კინოთეატრში კინოჩვენებები მოაწყო. თელავის შემდეგ „სინედოკ თბილისი“ უკვე მარნეულში ჩავიდა.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტავენ, ფესტივალი ხორციელდება კინოცენტრის რეგიონალური კინოკლუბების პროექტის „დაუბრუნოთ მაყურებელი კინოს“ ფარგლებში. თელავში გამართული ფესტივალის ფარგლებში მაყურებელმა ნახა როგორც ანიმაციური, ასევე დოკუმენტური ფილმები და ისინი მოზარდ მაყურებლებისთვის იყო განკუთვნილი.

– საქართველოს რეგიონებში საფესტივალო ცხოვრება ჩაკეტილია. ამ ფესტივალის მიზანია მოსახლეობას საინტერესო ფილმები გააცნოს. ფესტივალის ფარგლებში საქართველოს 7 ქალაქში, სხვადასხვა ჟანრის ფილმების ჩვენებაა დაგეგმილი, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

სინედოკ თბილისი კავკასიის მასშტაბით პირველი ფართომასშტაბიანი დოკუმენტური კინოფესტივალია რომლის მიზანია საფესტივალო გარემო ფართო საზოგადოების თავშეყრის ადგილად აქციოს. ფესტივალის ეგიდით კინოთეატრ „რუსთაველში“ შეიკრიბნენ უცხოელი და ქართველი კინოპროფესიონალები, ექსპერტები, საერთაშორისო ფონდები, კინომოყვარულები და ფესტივალის განსაკუთრებული სტუმრები, ასევე ბავშვები. ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამა წარმოდგენილია მასტერკლასებით, ვორქშოფებით, კონფერენციებით, მრგვალი მაგიდის შეხვედრებით, თოქ-შოუებით და, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმების საინტერესო კრებულით. მასტერკლასებსა და კონფერენციებს უძღვებოდნენ ევროპელი კინოექსპერტები და სხვადასხვა ფესტივალის წარმომადგენლები. მათ განიხილეს ისეთი საკითხები როგორიცაა, თანამედროვე შემოქმედებითი დოკუმენტური კინოს განვითარება/პოპულარიზაცია სამხრეთ კავკასიაში. აგრეთვე ყურადღება დაეთმო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის ფორმატს და თანამშრომლობის თანამედროვე მოდელს ტელევიზიებსა და დამოუკიდებელ კინოპროფესიონალებს შორის.

„სინე დოკ თბილისი“ 5 სექციისგან შედგება „ინტერნეშნალ კომპეტეიშენ“, „ფოკუს კაუკასუს“, „სინე დოკ იანგ“, „ქართული პანორამა“ და ვორქშოფი „დოკსტორის ჯორჯია“. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა კონფერენციები, სადაც ყურადღება დაეთმო კავკასიის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობას და პროფესიულ ნეთვორკს. მოეწყო მრგვალი მაგიდის შეხვედრები, სადაც მიწვეული იყვნენ კინოპროფესიონალები და მედიის წარმომადგენლები კავკასიის რეგიონიდან და მეზობელი ქვეყნებიდან, მათ შორის, რუსეთიდან და თურქეთიდან. „სინე დოკ იანგმა“ ადგილი დაუთმო ბავშვებს. მოსწავლე ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთნენ საფესტივალო ცხოვრებაში, გაეცნენ ბავშვებზე და ბავშვებისთვის შექმნილ დოკუმენტურ ფილმებს. მათთან ერთად მოეწყო სხვადასხვა ტიპის აქტივობები, როგორც დისკუსია-საუბრები ასევე ამ სექციის ყოველი დღე მათთვის შემოქმედებითად დაიტვირთა სხვადასხვა პროგრამებით.

ფესტივალის ფარგლებში ქართველი რეჟისორებისთვის და პროდიუსერებისთვის ჩატარდა ვორქშოფი „დოკსტორის ჯორჯია“. მონაწილეებს საშუალება მიეცათ უცხოელი ტუტორების დახმარებით განვითარებინათ თავიანთი პროექტები. ვორქშოფის დასკვნით ნაწილში გაიმართა პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო ფონდების და ტელევიზიების წარმომადგენლები. ქართველი კინოპროფესიონალებისთვის ეს აღმოჩნდა უნიკალური შესაძლებლობა საერთაშორისო კოოპროდუქციის შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

–„სინედოკ თბილისი“ ეხმარება რეჟისორებს, დამოუკიდებელ პროდიუსერებს და ზოგადად, კინოპროფესიონალებს პროფესიულ განვითარებაში, თითოეული სექციის კინოჩვენებების შემდეგ გაიმართა შეხვედრები, საუბრები და განხილვები, მოწვეული სტუმრებისთვის, კინოპროფესიონალებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის. ფესტივალი ცდება ტრადიციულ ფორმატს. საზოგადოების აქტიურ წევრებს, სოციალურ მუშაკებს, კინომოყვარულებს და ბავშვებს შესაძლებლობა მიეცათ კინოექსპერტებთან ერთად ესაუბრათ აქტუალურ თემებზე და მიეღოთ სიამოვნება საფესტივალო გარემოთი, – ამბობენ ფესტივალის ორგანიზატორები.

ფესტივალის ორგანიზატორია ნიუსფერა ფოუნდლეიშენ, რომელმაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განახორციელა 4 საერთაშორისო და ადგილობრივი კინოპროექტი. ეს ორგანიზაცია ორი წლის წინ დაარსდა და მისი მიზანია შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმის პოპულარიზაცია საქართველოსა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ მცირე დროში მისმა წევრებმა მოახერხეს სხვადასხვა სახის პროექტების ორგანიზება, როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ასევე ფილმის პროფესიონალებისათვის საერთაშორისო დონეზე. პროექტების ორიგინალური და შედეგზე ორიენტირებული კონცეფციიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ მრავალ საერთაშორისო პარტნორებთან და ქვეყნებთან თანამშრომლობაც შეძლო.

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
18 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ყველანი ციხეში**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** "საფებბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.00** მხ/ფ "**ბონი და კლაიდი**" (ფ.დანაუი)

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "მარაკეში" **08.30** მხ/ფ "**ის ჩემზე უარესია**" (ა.ჩელენტანო) **10.15** მხ/ფ "**ღამეები როდანტაში**" (რ.გირი) **12.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ედინბურგი" **13.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **14.00 ფეხბურთი** – ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: **საქართველო – სლოვაკეთი** I-II ტაიმი (პ/რ) **16.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **1** სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაული**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.45** მხ/ფ "**აზრთა მპყრობელნი**" (ქ.სლეიტერი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**ფესვები**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "კინო და წლები" I ნაწ. **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**ალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი**" **16.45** კონცერტი -ანს. "ბათუმი" და ანს."ქართული ხმები" **18.10** აქტუალური თემა **18.30** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მევლუდი**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** საღვთისმეტყველო საუბრები - მეუფე სპირიდონი **22.25** დოკ/ფ "დღესასწაული" **22.55** მართლმადიდებლური კატეხეზმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "შორ ვართ" **00.25** ისტორიის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ზაზუნას დღე**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15 სერიალი "რთული გზა"** (გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **16.00 სერიალი "დაპარგული დრო"** **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 ნოემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6764 | ევრო — 2,2539 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6945 | 100 რუსული რუბლი — 5,1296 |

## ამინდის პროგნოზი 18 ნოემბრისთვის

## აქცია

## წიგნი 1 ლარად!

## 19 ნოემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## კოტე მარჯანიშვილი




**ფასი გაზეთთან ერთად 1 ლარი**

## ასტროპროგნოზი 18 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. ** კურო** — ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ. **ტყუპები** — შეიცვალეთ იმიჯი და წარმატება არ აგცდებათ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ფულს შოულობთ, ახალი საქმე მოგწონთ. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **სასწორი** — სახლში დიდი სიხარული გელით. **ღრიანკალი** — ცოტაც მოითმინეთ და ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — აგიმაღლდებათ განწყობა, წვეულებაზე წახვალთ. **მერწყული** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, სხვებიც შეგამჩევენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯოსვოხდი

**თარაზულად:** 1. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 5. ქიმიური ელემენტი; 7. საწვიმარი; 9. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მომხმარებლის (კლიენტის) მისაზიდი საშუალება; 12. ეგვიპტელთა ერთ-ერთი ღმერთი; 13. რისამე მარაგი; 16. ქართული ტელეკომპანია; 17. შოტლანდიური ნაგაზი; 18. კუზიანი კურდღელი; 20. მსახური ქალი ჰარამხანაში; 22. გამის პირველი, ძირითადი ბგერა; 23. მთავარი სისხლძარღვი; 24. კუთვნილი თანხის წინასწარ აღებული ნაწილი; 25. ჩოგბურთის მოედანი.

**შვეულად:** 2. ქალაქი რუსეთში; 3. ელექტრულად ნეიტრალური ელემენტარული ნაწილაკი; 4. სისულელე; 5. ხილი; 6. საგნის კონტური; 8. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი (XIXს.); 11. ანატოლი ... (დიდოსტატი); 14. კრების, სხდომის ჩატარების წესი; 15. პარაზიტი ჭია; 16. კონსულების მმართველობის პერიოდი ძველ რომსა და საფრანგეთში; 17. სხეულის ნაწილი; 19. გზების დასაგებად ხმარებული ფისი; 21. საფოსტო ნიშანი; 22. ტყის მსხალი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## როგორ აღინიშნება გოდერძი ჩოხელის იუბილე?

ეკა ირემაშვილი

2014 წელი რეჟისორისა და მწერლის გოდერძი ჩოხელისთვის საიუბილეო წელია. მას დაბადებიდან 60 წელი უსრულდება. როგორც ხელოვანის მეუღლე ნინო მელაშვილი აღნიშნავს, მას სულაც არ სურს პომპეზური დაბადების დღის აღნიშვნა. მისი სურვილია მოეწყოს კვირეული, სადაც შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტები იქნება წარმოდგენილი.

მანამდე კი ხელოვანის ოჯახის წევრები 16 ნოემბერს გოდერძი ჩოხელის გარდაცვალების დღეს მცხეთაში დედათა მონასტრის ეზოში მის საფლავთან შეიკრიბნენ. როგორც მოსალოდნელი იყო საფლავთან ხელოვანის გულშემატკივრები მრავლად იყვნენ შეკრებილი. ნინო მელაშვილი ამბობს, რომ ეს უკვე ტრადიციაა, გოდერძი ჩოხელის დაბადების დღეზე და გარდაცვალების დღეს მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში მის საფლავთან ყოველთვის ხალხმრავლობაა.

გოდერძი ჩოხელი 6 წლის წინ 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს. ყოველი წლის 2 ოქტომბერს ხელოვანის დაბადების დღეზე მცხეთაში უამრავი ადამიანი მის საფლავთან იკრიბება, არანაკლები ხალხმრავლობაა მის საფლავთან ყოველი წლის 16 ნოემბერსაც, როცა გოდერძი ჩოხელი ამქვეყნიდან წავიდა.

გოდერძი ჩოხელის გარდაცვალების დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გუდამაყრული პოეზიის საქველმოქმედო საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს პოეტებმა ტარიელ ხარხელაურმა, მარიამ წიკლაურმა, მამა თავმას ჩოხელმა. ღონისძიებაზე წაკითხულ იქნა გოდერძი ჩოხელის და მამუკა წიკლაურის ლექსები. ლექსები წაიკითხა მსახიობმა ელდინო საღარაძემ, ასევე გუდამაყრის სკოლის მოსწავლეებმა. საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ თამარ ალადაშვილი, ეკა ბაიაშვილი, დები წიკლაურები, ფანდურა (გიორგი ბექაური). მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი იყო, შემოსული თანხა, წიგნები, რვეულები, საწერი კალმები და სხვა საკანცელარიო ნივთები გუდამაყრის სკოლის ბავშვებს გადაეცათ.

**ნინო მელაშვილი:**

–ჩვენ ამ დღეს ყოველთვის მივდივართ გოდერძის საფლავზე. სულ ვამბობთ, რომ ოჯახი გავდივართ საფლავზე და არავის ვეუბნებით-მეთქი, მაგრამ რომ მივდივართ, იქ ძალიან ბევრი ხალხი გვხვდება. ასევეა მის დაბადების დღეზე. ახლაც იყო ერთ-ერთი კერძოსკოლა, მასწავლებელს ჰყავდა მოყვანილი ბავშვები და ლექსები წაიკითხეს, იყვნენ ახალგაზრდები, ჩოხელებიც დაგვხვდნენ, ნათესავებიც იყვნენ და სულ ასეა, ყოველ წელს გვხვდებიან სრულიად უცნობი ადამიანები და ეს იმის დასტურია, რომ ქართველ საზოგადოებას გოდერძისადმი დიდი სიყვარული აქვს.

ამავე დღეს სამებაში იყო ღონისძიება გუდამაყრის სკოლის მოსწავლეებისადმი მიძღვნილი, დამირეკა მარიამ წიკლაურმა და მითხრა, მაგრამ ვერ მივედი. ჩვენ მცხეთაში ვიყავით და არ ვიცი, როგორ ჩატარდა. ვიცი, რომ ეს ღონისძიება გუდამაყრელი სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა.

*– გეგმავთ რაიმე ღონისძიებებს?*

– ჯერჯერობით არაფერი ვგეგმავთ, მიხო მოსული შვილმა გამოსცა წიგნი, რომლის პრეზენტაციაც ხელნაწერთა ცენტრში შედგა. ვიცი, რომ გოჩა კაპანაძეს აქვს სურვილი გოდერძის ნაწარმოებების მიხედვით დადგას სპექტაკლი და ვერ შევხვდი, რომ დავილაპარაკოთ. მომავალ წელს გოდერძის 60 წლისთავია და იქნებ ამ მოვლენას მაინც დაემთხვეს სპექტაკლის დადგმა. მანანა გეგეჭკორთან ერთად აპირებდა მგონი პიესის შექმნას.

*– მანამდე დადგმულა თეატრში მისი ნაწარმოებები?*

– არა. თეატრისთვის თვითონაც არ წერდა პიესებს. რამდენიმე რეჟისორმა სთხოვა და უარი უთხრა, თეატრს თავისებური სპეციფიკა აქვსო. თან თეატრში საკმაოდ კარგი ჰონორარი იყო, მაგრამ ამბობდა თეატრის სპეციფიკა არ ვიცი და ვერაფრით ვერ დავწერო. მჯერა, შეეძლო გაეკეთებინა, მაგრამ რაც არ იცოდა, იმაზე ალალად ამბობდა არ ვიციო.

*–ინტერესი ისევ არის გოდერძი ჩოხელის მიმართ?*

– კი, ორიოდე დღის წინ ვიყავით საგარეჯოში, ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრის საღამო, იქაური ინტელიგენციაც იყო და შევხვდით მათ. იქ იყვნენ მარიამ წიკლაური, მაია წიკლაური, ნინო ზედელაშვილი, გუჯა ბურდული, ბუბა ხოტიკვარი, საკმაოდ კარგი საღამო იყო, მაგრამ დამწყდა გული, რომ სკოლები არ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ნიაზ დიასამიძე წმინდა გიორგის ორდენის მფლობელია

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნიაზ დიასამიძე წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის მფლობელია. მიხელ სააკაშვილმა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე, მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად, სახელმწიფოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დააჯილდოვა.

ინფორმაცია ამის შესახებ მიხეილ საკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. მიხეილ სააკაშვილმა მთლიანობაში 1000-ზე მეტი ადამიანი სხვადასხვა სახელმწიფო ორდენებით დააჯილდოვა.

წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენებით დაჯილდოვდნენ მომღერალი ნიაზ დიასამიძე, საქართველოს მასშტაბით სამშენებლო პროექტების კოორდინატორი და თბილისის ვიცე-მერი დავით ნინიძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი. წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადაეცა ასევე დავით ბაქრაძეს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. მისი თავმჯდომარეობის დროს ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქად იქცა. უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, ბაქრაძის მონაწილეობა საქართველოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებაში.

აჭარაში განხორციელებული უპრეცედენტო სამშენებლო პროექტებისთვის, ასლან აბაშიძის სეპარატისტული რეჟიმის მიერ გაპარტახებული აჭარის ქართულ სახელმწიფოში სრულად ინტეგრაციისა და ევროპის მასშტაბით ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონად ქცევისათვის, „აჭარული სასწაულის“ შექმნაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, პრეზიდენტმა ლევან ვარშალომიძე დავით აღმაშენებლის ორდენით დააჯილდოვა. დავით აღმაშენებლის ორდენი გადასცა პრეზიდენტმა ასევე თბილისის მერს გიგი უგულავას.

– იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიის ცალკე აღებულ იმავე მონაკვეთში თბილისი არასდროს გამხდარა ისეთი აღმშენებლობის მომსწრე, როგორიც დედაქალაქის ისტორიაში პირველად პირდაპირი წესით არჩეული მერის, გიგი უგულავას, დროს, რისი ნიმუშიცაა თბილისის აღდგენილი უბნები, ქალაქის შემოვლითი რკინიგზა, ახალი კულტურის ცენტრები და გზე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შენგელია ნბა-ში გამოჩნდა

თორნიკე შენგელიას დებიუტი მიმდინარე სეზონში. ქართველმა ფორვარდმა ვარსკვლავებით გადაჭედილ „ბრუკლინ ნეთსში“ მიმდინარე ჩემპიონატში პირველად ითამაშა. ეს მოხდა ლოს ანჯელესში, „კლიპერსის“ წინააღმდეგ მატჩში, რომელშიც ბრუკლინელები მეორე შემადგენლობით თამაშობდნენ და კინაღამ გაიმარჯვეს.

„ბრუკლინს“ ტრავმების გამო აკლდა ძირითადი ხუთეულის 4 მოთამაშე – დერონ უილიამსი, ბრუკ ლოპესი, პოლ პირსი, კევინ გარნეტი და პლუს სამარქაფო ანდრეი კირილენკო. ასეთი დანაკლისით „ნეთსის“ ლოს ანჯელესში გამარჯვება წარმოუდგენელი იყო, თუმცა სათადარიგოებმა ერთადერთი სუპერვარსკვლავის, ჯო ჯონსონის მეთაურობით კინაღამ სასწაული მოახდინეს.

პირველი ტაიმი ბრუკლინელებმა 55:54 მოიგეს და მეორეშიც ტოლს არ უდებდნენ მრისხანე მეტოქეს. საბოლოოდ მასპინძლებმა მაინც მოახერხეს გამარჯვების მოპოვება. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა – 110:103 „კლიპერსის“ სასარგებლოდ.

შენგელიამ ბრუკლინელთაგან ყველაზე ცოტა – 8,13 წუთი ითამაშა და ერთადერთ პასს გამორჩა, თორნიკემ თითო ორქულიანი და სამიანი ააცილა.

ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე 3 ქულა დააკლდა. ქართველ ცენტრს ნბა-ს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრის, სერჟ იბაკას წინააღმდეგ უწევდა თამაში, რომელმაც დიდი როლი შეასრულა „ოკლაჰომას“ მილუოკიში გამარჯვებაში. ლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა ფაჩულიას გუნდი სტუმრად 92:79 დაამარცხა.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 36,40 წუთი დაჰყო. ფაჩულია ბოლო მატჩებში ბევრს უტევს, თუმცა მაღალი შედეგიანობით ვერ გამოირჩევა. ამჯერად მისი 13 სროლიდან მიზანს 3-მა მიაღწია. ზაზამ 1 საჯარიმოც ჩააგდო და შეხვედრა 7 ქულით, 13 მოხსნით, 3 პასით და 2 ჩაჭრით დაასრულა.

მ. ჟ.